F171
1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

5

მაისი

თბილისი—1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის, პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

დადგენილება

სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

1971 წლის 5 თებერვალი

F 3 5

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური მიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავენ, რომ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მზადების საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს. ბევრ რაიონში ახალი სასწავლო წლის მზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურად არის გაშლილი; განათლების განყოფილებების მიერ წარმოდგენილი ფორმების უმრავლესობა ზერელედ არის შედგენილი, განხილული და დამტკიცებული არ არის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასკომების სხდომებზე; დაცული არ არის მასალების წარმოდგენის ვადა, რის გამო დიდი დაგვიანებით ხდება სოციალისტური შეჯიბრების შედეგების განხილვა და გამარჯვებულ რაიონებსა და ქალაქებზე დროშების გადაცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადების ხელმძღვანელობისათვის შეიქმნას კომისია ამხ. დ. იოსელიანის (თავმჯდომარე), მ. ქოჩაკიძის (თავმჯდომარის მოადგილე), აკ. ჩხიკვაძის, ა. კვაჭაძის, რ. კანდელაკის, ვ. ჩინჩალაძის, ს. არველაძის, გ. აბდუშელიშვილის, ს. უჩანეიშვილის და ს. დადიანის შემადგენლობით.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რაიონულ, საქალაქო და ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეებს:

ა) სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებაზე ხელმძღვანელობისათვის ადგილებზე შექმნან ანალოგიური კომისიები;

ბ) ახალი სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადების მიზნით სოციალისტური შეჯიბრება გაშალონ რაიონებსა და ქალაქებს, სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებს შორის. სისტემატური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ მათ სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულების საქმეში;

გ) ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ფართოდ ჩააბან რაიონებისა და ქალაქების მშრომელები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები;

დ) ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის მდგომარეობა პერიოდულად განიხილონ კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და დასახონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ე) ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მასალები, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის

დადგენილებით, დაწესებული ფორმების მიხედვით განათლების სამინისტროს და პროფკავშირის პრეზიდიუმს წარმოუდგინონ ყოველი წლის 15 სექტემბრისათვის (ამ ვადის შემდეგ წარმოდგენილი მასალები განხილული არ იქნება).

3. დაევალოს კომისიას (ამხ. დ. იოსელიანი):

ა) სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში. რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში პერიოდულად შეისწავლოს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმსა და განათლების სამინისტროს კოლეგიას;

გ) ყოველი წლის 1 ოქტომბრამდე განიხილოს ამ დადგენილებით დაწესებულ ვადებში წარმოდგენილი მასალები და შედეგები მოახსენოს კოლეგიას და პრეზიდიუმს არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა იმ ანგარიშით, რომ ჯილდოების გადაცემა დამთავრდეს 7 ნოემბრამდე.

ამასთან საჭიროდ იქნეს მიჩნეული დასაჯილდოებლად შერჩეული რაიონებისა და ქალაქების ადგილებზე შემოწმება.

4. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქტორს ამხ. ნ. შველიძეს გაზეთის საშუალებით პერიოდულად გააშუქოს ახალ სასწავლო წლისათვის რაიონებისა და ქალაქების სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მზადების მდგომარეობა.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის
თავმჯდომარე **დ. იოსელიანი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 25 თებერვლის ბრძანება № 137

საშუალო სკოლის, ხალამოსა და დაუსწრებელი სკოლის, სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატის ბეჭდის, შტამპისა და აბრის ახალი ნიმუშების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1970 წლის 8 სექტემბრის № 749 დადგენილებით მოწონებული „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების“ შესებამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

შემოღებულ იქნას საშუალო სკოლის, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლის, სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატის ბეჭდის, შტამპისა და აბრის ახალი ტექსტები თანდართული ნიმუშების მიხედვით.

§ 2

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ ახალი ბეჭდების, შტამპებისა და აბრების დამზადება ყველა ზემოთჩამოთვლილ დაწესებულებებისათვის 1971 წლის 1-ელ სექტემბრამდე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის 1971 წლის 25 თებერვლის
№ 137 ბრძანების
დ ა ნ ა რ თ ი

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

საშუალო სკოლის, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლის, სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატის ბეჭდის, შტამბისა და აბრის ნიმუშებისა, რომლებიც შემოღებულია 1971 წლის 1 სექტემბრიდან

1. საშუალო სკოლის, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლის, სკოლა-ინტერნატის, საბავშვო სახლისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატის ღერბიან ბეჭედს აქვს მრგვალი ფორმა, რომლის გარშემოწერილობის დიამეტრის სიგრძე 40—46 მმ, ხოლო შიდა წრისა—28 მმ (დასაშვებია პლიუს-მინუს 1 მმ).

ბეჭდის ცენტრში უნდა იყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი, შიდა წრეზე—სკოლის სრული დასახელება. ბეჭდის გარე წრეზე წარწერა—„საქართვეელოს სსრ განათლების სამინისტრო“ ქართულ და რუსულ ენებზე.

მაგალითად:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   მცხეთის რაიონის ძალისის საშუალო სკოლა
2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   ქ. თბილისის ლენინის რაიონის № 10 საშუალო სკოლა
3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 5 საღამოს საშუალო სკოლა
4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
   ქ. თბილისის კიროვის რაიონის № 23 საღამოს (ცვლის) საშუალო სკოლა

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
გორის რაიონის მეჯვრისხევის საღამოს საშუალო სკოლა
6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლა
7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო
ქ. სოხუმის საოლქო დაუსწრებელი სკოლა
8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო
ქ. ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლა
9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო
ქ. ბათუმის მეზღვაურთა რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლა
10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილება
ქ. ცხინვალის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლა
11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ქ. ქუთაისის საქალაქო დაუსწრებელი საშუალო სკოლა
12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ბოგდანოვკის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლა
13. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
გორის რაიონის ატენის საშუალო სკოლა-ინტერნატი
14. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ქ. ქუთაისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი
15. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
გარდაბნის რაიონის კოჯრის № 1 საბავშვო სახლი
16. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმი
17. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ტაშისკარის სანატორიული სკოლა-ინტერნატი
18. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
სამტრედიის სპეციალური სკოლა
19. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა-ინტერნატი

20. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
გლდანის ზოგადსაგანმანათლებლო № 2 საშუალო სკოლა-ინტერნატი სპორტული პროფილით
21. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატი
22. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ქ. ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი
23. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი
24. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ქ. თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი

საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლების ბეჭდების ნიმუშები

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
გორის რაიონის კარალეთის საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლა
ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
ქ. თბილისის ლენინის რაიონის № 15 საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლა

აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის ტერიტორიებზე მდებარე სკოლების ბეჭდებზე წარწერა უნდა გაკეთდეს მშობლიურ (გარე წრე), ქართულ (შიდა წრე) და რუსულ ენებზე (შიდა წრე).

2. სკოლის კუთხურ შტამპს აქვს კვადრატული ფორმა. აქვს წარწერა სკოლის სრული დასახელებით და ადგილისა სოფელის ჩვენებით. წარწერები კეთდება ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის სკოლებისათვის—მშობლიურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

მაგალითად:

ა)

საქართველოს სსრ
განათლების სამინისტრო
გორის რაიონის სახალხო განათლების განყ-ბის
კარალეთის საშუალო სკოლა
„———„———————— 197 წ.
სოფ. კარალეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საქართველოს სსრ
განათლების სამინისტრო
ქ. თბილისის სახალხო განათლების განყოფილება
№ 145 საშუალო სკოლა

„_____"_____197 წ.

№_____

ქ. თბილისი, მოსკოვის პრ., 16

გ) საქართველოს სსრ
განათლების სამინისტრო
ქ. თბილისის სახალხო განათლების განყოფილება
საღამოს მე-7 საშუალო სკოლა

„_____"_____197 წ.

№_____

ქ. თბილისი, პლეხანოვის 40

დ) საქართველოს სსრ
განათლების სამინისტრო
ქ. თბილისის სახალხო განათლების განყოფილება
რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი

„_____"_____197 წ.

№_____

ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი № 6

3. სკოლების აბრებს უნდა ჰქონდეთ სიგრძე 75 სმ და სიგანე 50 სმ. ტექსტი იწერება ლურჯი ფერის მინაზე თეთრი ასოებით. აღნიშნული უნდა იყოს სკოლის სრული დასახელება ადგილსამყოფელის ჩვენებით. აბრის ცენტრში ტექსტს ზემოთ მოთავსებულია 12 სმ დიამეტრის მქონე საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი.

მაგალითად:

ა) საქართველოს სსრ ღერბი
საქართველოს სსრ
განათლების სამინისტრო
ქ. თბილისის სახალხო განათლების განყოფილება
ქ. თბილისის ლენინის რაიონის № 5 საშუალო სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საქართველოს სსრ ღერბი
საქართველოს სსრ
განათლების სამინისტრო
ქ. თბილისის სახალხო განათლების განყოფილება
ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის საღამოს (ცვლის)
№ 27 საშუალო სკოლა

გ) საქართველოს სსრ ღერბი
საქართველოს სსრ
განათლების სამინისტრო
ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის
მუსიკალური სკოლა-ინტერნატი

სკოლების სამმართველოს უფროსი ა. ჩხიკვაძე

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი ვ. ჩინჩალაძე

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

ПРИКАЗ № 137
по Министерству просвещения Грузинской ССР от 25 февраля 1971-го года

Об утверждении новых образцов печати, углового штампа и вывески средней школы, вечерней и заочной школы, школы-интерната, детского дома и специальной школы-интерната

В соответствии с „Уставом средней общеобразовательной школы", одобренной постановлением Совета Министров СССР № 749 от 8-го сентября 1970 года,

Приказываю:

§ 1

Ввести новые тексты печати, углового штампа и вывески средней школы, вечерней и заочной школы, школы-интерната, детского дома и специальной школы-интерната по прилагаемым образцам.

§ 2

Министрам просвещения Абхазской АССР и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской А/О, городов и районов обеспечить изготовление новых образцов печати, углового штампа и вывески для вышеперечисленных учреждений к 1-ому сентября 1971 года.

Министр просвещения
Грузинской ССР **Т. Лашкарашвили**

Приложение
к приказу Министра просвещения
Грузинской ССР от 25 февраля 1971 г.

№ 137

ОПИСАНИЕ

образцов печати, штампа и вывески средней школы, вечерней и заочной школы, школы-интерната вводимых с 1 сентября 1971 г.

1. Гербовая печать средней школы, вечерней и заочной школы, школы-интерната, детского дома и специальной школы-интерната должна иметь круглую форму с диаметром внешней окружности (ободка) 40—45 мм. и внутренней окружности (ободка) 26 мм (разрешается допуск плюс-минус 1 мм).

В центре печати помещается герб Грузинской ССР, по внутреннему кругу—полное наименование школы, по внешнему кругу печати—надпись „Министерство просвещения Грузинской ССР“ на грузинском и русском языках.

Например:

1. Министерство просвещения Грузинской ССР
   Дзалисская средняя школа Мцхетского района
2. Министерство просвещения Грузинской ССР
   Тбилисская № 10 средняя школа Ленинского района
3. Министерство просвещения Грузинской ССР
   Тбилисская № 5 вечерняя средняя школа Орджоникидзевского района
4. Министерство просвещения Грузинской ССР
   Тбилисская № 23 вечерняя (сменная) средняя школа Кировского района

5. Министерство просвещения Грузинской ССР
Меджврисхевская вечерняя средняя школа Горийского района
6. Министерство просвещения Грузинской ССР
Тбилисская республиканская заочная средняя школа
7. Министерство просвещения Грузинской ССР
Министерство просвещения Абхазской АССР
Сухумская областная заочная средняя школа
8. Министерство просвещения Грузинской ССР
Министерство просвещения Аджарской АССР
Батумская областная заочная средняя школа
9. Министерство просвещения Грузинской ССР
Министерство просвещения Аджарской АССР
Батумская республиканская заочная средняя школа моряков
10. Министерство просвещения Грузинской ССР
Отдел народного образования Юго-осетинской автономной области
Цхинвальская областная заочная среднняя школа
11. Министерство просвещения Грузинской ССР
Кутаиская городская заочная средняя школа
12. Министерство просвещеиия Грузинской ССР
Богдановская районная заочная средняя школа
13. Министерство просвещения Грузинской ССР
Атенская средняя школа-интернат Горийского района
14. Министерство просвещения Грузинской ССР
Кутаисская восьмилетняя школа-интернат
15. Министерство просвещения Грузинской ССР
Коджорский № 1 детский дом Гардабанского района
16. Министерство просвещения Грузинской ССР
Патара Цемская лесная школа-санаторий
17. Министерство просвещения Грузинской ССР
Ташискарская санаторная школа-интернат
18. Министерство просвещения Грузинской ССР
Самтредская специальная школа
19. Министерство просвещения Грузинской ССР
Тбилисская физико-математическая средняя школа-интернат им. В. М. Комарова

20. Министерство просвещения Грузинской ССР
Глданская общеобразовательная № 2 средняя школа-интернат со спортивным профилем
21. Министерство просвещения Грузинской ССР
Кохнарская вспомогательная школа-интернат
22. Министерство просвешения Грузинской ССР
Кутаисская школа-интернат для глухих детей
23. Министерство просвещения Грузинской ССР
Тбилисская школа-интернат для слепых детей
24. Министерство просвещения Грузинской ССР
Тбилисская школа-интернат для слабослышащих детей

Образцы печатей для школ с производственным обучением:

а) Министерство просвещения Грузинской ССР
Каралетская средняя школа с производственным обучением Горийского района

б) Министерство просвещения Грузинской ССР
Тбилисская № 15 средняя школа с производственным обучением Ленинского района

Текст печати для школ, находящихся на территории Абхазской АССР и Юго-осетинской автономной области делается на родном (по внешнему кругу), грузинском (среднему кругу) и русском (внутреннему кругу) языках.

2. Угловой штамп должен иметь квадратную форму с подробным наименованием школы и ее местонахождением. Текст штампа школ печатается на грузинском и русском языках, а для школ, находящихся на территории автономной республики и автономной области—на родном, грузинском и русском языках.

Например:

а)

Грузинская ССР
Министерство просвещения
Отдел народного образования Горийского района
Каралетская средняя школа

„_____„_____197 г.

№_____

с. Каралети

б) Грузинская ССР
Министерство просвещения
Тбилисский городской отдел народного образования
№ 145 средняя школа

„_____„_____197 г.

№_____

г. Тбилиси, Московский пр., 16

в) Грузинская ССР
Министерство просвещения
Тбилисский городской отдел народного образования
№ 7 вечерняя средняя школа

„_____„_____197 г.

№_____

г. Тбилиси, пр. Плеханова, 40

г) Грузинская ССР
Министерство просвещения
Тбилисский городской отдел народного образования
Восьмилетняя школа-интернат

„_____„_____197 г.

№_____

г. Тбилиси, Гардабанское шоссе, 6

3. Вывеска школ должна иметь длину 75 см. и ширину 50 см. Текст вывески выполняется на стекле большими буквами на синем фоне с подробным наименованием школы и ее местонахождением. В центре вывески над текстом помещается герб Грузинской ССР диаметром 12 см.

Например:

а) Герб Грузинской ССР
Грузинская ССР
Министерство просвещения
Тбилисский городской отдел народного образования
Тбилисская № 5 средняя школа Ленинского района

б) Герб Грузинской ССР
Грузинская ССР
Министерство просвещения
Тбилисский городской отдел народного образования
Тбилисская № 27 вечерняя (сменная) средняя школа
Октябрьского района

г) Герб Грузинской ССР
Грузинская ССР
Министерство просвещения
Тбилисская Музыкальная школа-интернат

Начальник Управления школ **А. Чхиквадзе**

Начальник Управления вечерних
и заочных школ **В. Чинчаладзе**

Начальник Управления школ-интернатов
и детских домов **Р. Канделаки**

F 3575

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულარული წერილი № 14/66

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს

1971 წ. 11 მარტი

შემოწმების მასალებით დასტურდება, რომ ჯერ კიდევ ფიზიკური კულტურის გაკვეთილები ყველა სკოლაში არ ტარდება მაღალ დონეზე; მასწავლებლები გაკვეთილებისათვის მომზადებას არ უთმობენ სათანადო ყურადღებას. არაა დაცული ერთიანობა საპროგრამო მასალის დაგეგმვაში—ზოგიერთ სკოლაში პროგრამა შედგენილია გრაფიკების, ზოგში თემატური, ხოლო რიგ სკოლებში გაკვეთილების მიხედვით.

ზოგიერთ სკოლაში გაკვეთილები დაბალ მეთოდურ დონეზე ტარდება, სუსტია დისციპლინა და მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის შეთვისება (ქ. თბილისის მე-18 სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ფრანგიშვილი, მე-20 სკოლის მასწავლებლები ტერუნაშვილი და მუსიევი, 44-ე სკოლის მასწავლებელი რ. ჩიხლაძე, ჭიათურის რუსული სკოლის მასწავლებელი დ. მუმლაძე, კაცხ-სალიერის საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. ტყემალაძე და სხვ.).

ზოგან განსაკუთრებით ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს ფიზკულტურის სწავლება დაწყებით კლასებში; ცალკეული სკოლების ამ კლასებში გაკვეთილები ტარდება ფიზკულტურის პროგრამის გარეშე (ქ. ტყიბულის მე-4 სკოლა, მასწავლებლები—გაბრიჩიძე და კუპრაშვილი, მე-2 საშ. სკოლა—მასწავლებელი ხუჭუა). ანალოგიური მდგომარეობაა საჩხერისა და რიგი სხვა რაიონების სკოლებში.

სკოლების უმრავლესობაში მოსწავლეებთან არ ტარდება გაკვეთილების დაწყების წინ ტანვარჯიში, თუმცა სტატისტიკური

ანგარიშების მიხედვით რესპუბლიკის 5.328 სკოლაში თითქოს ასეთი ვარჯიში 539.774 მოსწავლესთან ტარდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების დიდ ნაწილში სათანადო ყურადღება არ ექცევა კლასგარეშე და სკოლის გარეშე ფიზკულტურულ სპორტულ მუშაობაში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმის საქმეს; გაკვეთილების შემდეგ ფიზკულტურული მეცადინეობა ჯერ კიდევ არ არის გადაქცეული მოსწავლეთა გატაცების საგნად; ხშირად მთელი ყურადღება გადატანილია მხოლოდ მოსწავლე-სპორტსმენთა გარკვეულ ნაწილზე, ხოლო მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა სპორტული მუშაობის გარეშე რჩება;

სუსტად არის დაყენებული სპორტისადმი მიდრეკილების მქონე, ნიჭიერი მოსწავლეების შერჩევისა და მათი რაიონისა და ქალაქის ბავშვთა სასპორტო სკოლებში გაერთიანების საქმე. ამ მხრივ სერიოზულ ჩამორჩენას აქვს ადგილი სპორტის ისეთ სახეებში, როგორიცაა ხელბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ცურვა, ველოსპორტი. მოსწავლეთა უმნიშვნელო რაოდენობა მეცადინეობს სასტენდნო სროლაში (32 მოსწავლე), მშვილდოსნობაში (30 მოსწავლე), აკადემიურ ნიჩბოსნობაში (81 მოსწავლე), ველოსპორტში (ტრეკზე—152 მოსწავლე) და სხვა.

არასაკმარისადაა უზრუნველყოფილი სკოლები მატერიალურ-ტექნიკური ბაზებით, რესპუბლიკის 2.615 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან მხოლოდ 585 სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რის გამო ზამთრისა და ცუდი ამინდის დროს ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახებში.

ზოგიერთი ახლად აგებული სასკოლო შენობა შედის ექსპლოატაციაში სპორტული დარბაზის გარეშე. ასე, მაგალითად, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში რაიონებსა და სოფელ ადგილას 91 სკოლა აშენდა სპორტული დარბაზის გარეშე (საჩხერის რაიონი, ტყიბული და სხვ.).

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების მუშაობა, რაც იმითაც არის გამოწვეული, რომ რესპუბლიკის ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლები მაღალთანრიგოსანი სპორტსმენების გეგმიური მომზადებისათვის ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილი საკმარისი რაოდენობის ჯგუფებით.

რიგ სასპორტო სკოლებში სპორტის სახეების მიხედვით ჯგუფები განაწილებულია ასაკის გაუთვალისწინებლად, მათი უმრავ-

ლესობა დაკომპლექტებულია მხოლოდ მოსწავლეების სურვილის მიხედვით და არა სპეციალური შერჩევით, რის გამო სასპორტო სკოლების ჯგუფებში გაერთიანებული არიან განსაკუთრებით უმცროსი და საშუალო ასაკის ისეთი მოსწავლეები, რომლებიც თავისი ტექნიკური და ფიზიკური მომზადებით არ შეეფერებიან სასპორტო სკოლების ჯგუფებს.

სასპორტო სკოლების მწვრთნელთა მიერ შედგენილი სამუშაო გეგმები და გაკვეთილების კონსპექტები არ შეესაბამება სპორტის დღევანდელ მოთხოვნებს, აღნიშნული გეგმები და კონსპექტები არაკონკრეტულია, მათში არ არის გაშუქებული მეცადინეობის არსი და ხასიათი.

ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების მუშაობაზე, უარყოფით გავლენას ახდენს უფროსი მწვრთნელების ხშირი მივლინებები, მათი მივლინებების პერიოდში ჯგუფი რჩება შემცვლელი მწვრთნელის გარეშე. მოსწაკლე-სპორტსმენთა მთელი წლის მანძილზე უწყვეტი მუშაობის ერთ-ერთ მტკივნეულ მხარეს წარმოადგენს ის, რომ ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებს (გარდა თბილისის განათლების განყოფილების ტანვარჯიშული, მძლეოსნური, ფეხბურთის და რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატისა) არა აქვთ საზაფხულო სპორტული გამაჯანსაღებელი ბანაკები.

მუშაობას დიდად აბრკოლებს ისიც, რომ 52 სასპორტო სკოლას აქამდე არა აქვს საკუთარი სპორტული ბაზა. 15 სასპორტო ახალი სკოლის მაგიერ დღეისათვის დამთავრებულია მხოლოდ 3 და მშენებლობის პროცესშია 4 სასპორტო სკოლის შენობა. ქ. ქუთაისის კომპლექსური სასპორტო სკოლის საცურაო აუზი, რომლის კორპუსის მშენებლობა დამთავრდა შარშან, სათანადო მოწყობილობის უქონლობის გამო დღემდე უმოქმედოდაა.

სასპორტო სკოლების სუსტ მუშაობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ 1969 წელში მომზადებული 17.868 თანრიგოსანი სპორტსმენიდან, სპორტის ოსტატია 18, ხოლო სპორტის ოსტატობის კანდიდატი—29 და ისიც სპორტის მხოლოდ 5—6 სახეში (ჭიდაობა, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ველოსპორტი გზატკეცილზე), სპორტის ისეთ სახეებში კი, როგორიცაა მძლეოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა—არცერთი სპორტის ოსტატი ან სპორტის ოსტატობის კანდიდატი არ არის მომზადებული.

მიუხედავად სადირექტივო ორგანოების რიგი დადგენილებებისა, დღემდე მოსწავლეებს უსასყიდლოდ არ ეთმობათ სპორტული ბაზები, რაც მეტად აბრკოლებს მოსწავლეთა შორის ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის განვითარებას.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს კვალიფიციური კადრების უკმარობას და არა მარტო ცალკეულ სკოლებში; ზოგიერთ რაიონში საერთოდ არ არიან უმაღლესი ფიზკულტურული განათლების მქონე სპეციალისტები. მაგალითად, აჭარის ასსრ 87 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არ არის უმაღლესი განათლების მქონე ფიზკულტურის მასწავლებელი, ქ. ჭიათურის ფიზკულტურის 37 მასწავლებლიდან მხოლოდ 16 მასწავლებელს აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება. ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონშიც.

გ ა ვ ა ლ ე ბ თ

1. გააძლიეროთ მუშაობა და დაძლიოთ ცალკეული სკოლების პრაქტიკაში არსებული ფიზიკური კულტურის შეუფასებლობა; გაზარდოთ მომთხოვნელობა სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ.

გააძლიეროთ კონტროლი ფიზიკური კულტურის განვითარების სათანადოდ ორგანიზებასა და სასწავლო პროგრამების შესრულებაზე;

—უფრო ფართოდ განაზოგადოთ გამოცდილება იმ მოწინავე პედაგოგიური კოლექტივებისა, რომლებიც არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებით აღწევენ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მაღალ დონეზე დაყენებას;

—მიიღოთ საჭირო ზომები სკოლის სამუშაო დღის რეჟიმში ფიზკულტურული მეცადინეობების მოცულობის გასაფართოებლად, გაშლოთ მუშაობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის გახანგრძლივებული დღის ჯგუფების გასაფართოებლად სკოლა-ინტერნატებში;

უფრო ეფექტურად გამოიყენოთ ფაკულტატიური საათები მოსწავლეებთან ფიზიკურ კულტურასა და სპორტში თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების მოსაწყობად;

—დააწესოთ სისტემატური ზედამხედველობა, რათა ყველგან ტარდებოდეს ფიზკულტურული მეცადინეობები იმ ბავშვებთან, რომლებიც სუსტი ჯანმრთელობის გამო მიეკუთვნებიან სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს.

—ფართოდ გაშალოთ სკოლებში კლასგარეშე სპორტული მუშაობა, მეტი რაოდენობით ჩააბათ მოსწავლეები სპორტის სხვადასხვა სექციებში სამეცადინოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—სკოლაში სპორტსმენ-თანრიგოსნების, ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების თვითვალდებულებათა შესრულების მიზნით, უფრო ხშირად ჩაატაროთ შინასასკოლო და სარაიონო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეებში;

—გადაჭრით გააუმჯობესოთ ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლებში მეცადინეობების ჩატარების ხარისხი და მოსწავლეთა სპორტული მუშაობა; მტკიცე ზედამხედველობა დააწესოთ სასპორტო სკოლების ჯგუფების წარჩინებული მოსწავლეების საქმიანობაზე.

—გადაჭრით გააუმჯობესოთ ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების ჯგუფების პერსპექტიული ბავშვებით დაკომპლექტების, მწვრთნელთა მიერ სასწავლო მასალის სწორად დაგეგმვისა და მეცადინეობების ჩატარების ხარისხის ამაღლების საქმეზე.

—არ დაუშვათ სპორტის ცალკეული სახეების რომელიმე ჯგუფში სხვადასხვა ასაკისა და სპორტული მომზადების მქონე ბავშვების გაერთიანება, უზრუნველყოთ იმის მიღწევა, რომ სკოლის დამთავრებისას ყოველმა მოსწავლემ ჩააბაროს სასპორტო სკოლების დებულებით დადგენილი თანრიგი.

—კატეგორიულად აკრძალოთ სასპორტო სკოლების მწვრთნელთა მივლინებები სხვადასხვა უწყებრივ შეჯიბრებებზე განათლების სამინისტროს სათანადო ნებართვის გარეშე.

—მოსწავლე-სპორტსმენთა მთელი წლის მანძილზე უწყვეტი მეცადინეობებისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით, მიაღწიოთ სასპორტო სკოლებისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების შექმნას.

—გადამჭრელი ზომები მიიღოთ სასპორტო სკოლების ნორმალური მუშაობისათვის სასწავლო-სპორტული ბაზების მშენებლობისა და მათი სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფისათვის.

—აქტიურად შეუწყოთ ხელი განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნებისა და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების ბაზაზე ზოგადსაგანმანათლებ-

ლო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებელთა და სასპორტო სკოლების მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

აღნიშნული დადგენილების შესრულების შესახებ მოხსენებითი გარათი წარმოადგინეთ განათლების სამინისტროში ა/წლის 1 ივნისისათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის

დადგენილება

1971 წლის 26 მარტი

რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ფაკულტატიური მეცადინეობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ და მეთოდურმა განყოფილებამ შეისწავლეს ფაკულტატიური მეცადინეობის მიმდინარეობის საკითხი ქ. ქ. თბილისის, რუსთავისა და ზოგიერთი რაიონის 51 სკოლაში. კოლეგიაზე აღინიშნა, რომ განათლების ორგანოებმა გააძლიერეს მუშაობა მოსწავლეთა ინტერესისა და მიდრეკილების მიხედვით არჩეულ საგანში მეცადინეობის სწორად წარმართვისათვის.

ფაკულტატიური მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათები ძირითადად დანიშნულებისამებრ არის გამოყენებული. ფაკულტატივები შემოღებულია სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ თითქმის ყველა სასწავლო დისციპლინაში. უმეტესად ჯგუფები ყალიბდება ამა თუ იმ საგნის უფრო ღრმად შესწავლის მსურველ მოსწავლეებისაგან.

მოწინავე მასწავლებლები ეფექტური ხერხების გამოყენებით აღწევენ მოსწავლეთა გონებრივი ძალების მობილიზებას შემოქმედებითი, კვლევა-ძიებითი მუშაობისათვის. მეცადინეობის სწორად წარმართვას ხელს უწყობს საგნის მიხედვით შექმნილი მიკრობიბლიოთეკები (რესპუბლიკური ექსპერიმენტალური სკოლა, ქ. თბილისის 77-ე, მე-10, 52-ე, 63-ე, 69-ე, 81-ე საშუალო სკოლები).

ფაკულტატიური მეცადინეობა, როგორც ცოდნის გაღრმავებისა და მოსწავლეთა სპეციფიკური უნარების განვითარების საშუალება, მასწავლებელთა და მოსწავლეთა აქტიური მხარდაჭერით სარგებლობს.

მიუხედავად აღნიშნულისა, შემოწმებული სკოლების დიდ ნაწილში შეინიშნება ორგანიზაციული და მეთოდური ხასიათის ნაკლოვანებანი. ფაკულტატიური მეცადინეობის დაწყებისათვის მოსამზადებელი მუშაობა არ ტარდება მაის-ივნისში, როგორც ამას მოითხოვს განათლების სამინისტროს საინსტრუქციო წერილი. პედსაბჭოს სხდომებზე არ მტკიცდება ფაკულტატივების რაოდენობა და კურსის წამყვანი მასწავლებლები. ფაკულტატიური მეცადინეობა დირექტორის ბრძანებით ფორმდება სასწავლო წლის დასაწყისში, ამის გამო მეცადინეობა სექტემბრის დასასრულს ან ოქტომბრის პირველ რიცხვებში იწყება. ეს იწვევს სავალდებულო და ფაკულტატიური მეცადინეობის ერთმანეთისაგან მოწყვეტას.

ზოგჯერ ფაკულტატიური ჯგუფები იქმნება იმ სკოლებში, რომლებსაც არა აქვთ შესაფერისი ბაზა და არა ჰყავთ მაღალკვალიფიციური მასწავლებლები (ქ. თბილისის 68-ე, 71-ე, 118-ე, ლანჩხუთის მე-3, სოფ. ჩოჩხათის, სოფ. ნიგვზიანის, თეთრიწყაროს რაიონის სოფ. წინწყაროს, დიდი თონეთის, დაღეთ-ხაჩენის და სამშვილდოს საშუალო სკოლები).

განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა საორგანიზაციო ღონისძიებების გატარების შემდეგ შეასუსტეს კონტროლი ფაკულტატიურ მეცადინეობაზე.

შემოწმებულ სკოლებში ფაკულტატიური მეცადინეობის საკითხი არ გამხდარა პედსაბჭოს მსჯელობის საგანი.

ხშირად ფაკულტატიური მეცადინეობის საათები გამოყენებულია მასწავლებელთა კვირეული დატვირთვის გაზრდის მიზნით (ქ. თბილისის 41-ე, 46-ე, 52 ე, მე-60, 64 ე, 68 ე, 69-ე, 71-ე, 102-ე, 104 ე. 113-ე, რუსთავის 1-ლი, მე-10, მე 11, მახარაძის 1-ლი, მე-2, მე-3, რუსული საშუალო, ლანჩხუთის 1 ლი, მე-2, მე-3, თეთრიწყაროს ქართული, რუსული საშუალო სკოლები, თეთრიწყაროს რაიონის პატარა ირაგის, წინწყაროს, დიდი თონეთის, დაღეთ-ხაჩენის, სამშვილდოს საშუალო სკოლები).

ბევრ სკოლაში ფორმალურად მიუდგნენ ფაკულტატიური ჯგუფების დაკომპლექტებას. სკოლას არა აქვს შემუშავებული ინტერესისა და მიდრეკილების განსაზღვრის მეცნიერულად დასაბუ-

თებული კრიტერიუმი. მოსწავლეთა გაერთიანება ხდება მხოლოდ აკადემიური წარმატებების მიხედვით. თუმცა ხშირად ეს პრინციპიც ირღვევა (ქ. თბილისის 67 ე, 68-ე, 104-ე, 110-ე, 113-ე, რუსთავის 1-ლი, მე-10, მე-11, მახარაძის მე-2, მე-3, რუსული საშუალო სკოლა, ლანჩხუთის მე-2, მე-3 სკოლები, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის საშუალო სკოლა, თეთრიწყაროს ქართული, რუსული საშუალო სკოლები, თეთრიწყაროს რაიონის პატარა ირაგის, წინწყაროს, დიდი თონეთის, დაღეთ-ხაჩენის, სამშვილდოს საშუალო სკოლები).

ხშირია შემთხვევა ფაკულტატიური საათების დაქუცმაცებისა. პროგრამით გათვალისწინებული 70 საათიდან კურსს 35 (ერთი კვირეული) საათი ეთმობა (ქ. თბილისის 52-ე, 69-ე, 88-ე, 113-ე, ქ. რუსთავის მე-15, მახარაძის მე-3, ლანჩხუთის 1-ლი, მე-2, მე-3 საშუალო სკოლები).

სკოლებში ყოველწლიურად ცვლიან ფაკულტატიური მეცადინეობის პროფილს, რის გამოც ფერხდება სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, საბიბლიოთეკო ფონდის შექმნისა და პედაგოგთა კვალიფიკაციის შემდგომი სრულყოფის საქმე.

ზოგიერთი მასწავლებელი არ ხელმძღვანელობს ფაკულტატიური კვირის სპეციალური პროგრამით და მეცადინეობის საათებს იყენებს ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ (ქ. თბილისის მე-40, 67-ე, 71-ე, 62-ე, 68 ე, 104-ე, 110-ე, 113-ე, რუსთავის მე-10, მე-15. ქ. მახარაძის მე-2, ლანჩხუთის 1-ლი, მე-3, სოფელ ჩოჩხათის, იგოეთის, ნიგვზიანის, თეთრიწყაროს ქართული, თეთრიწყაროს რაიონის წინწყაროს, პატარა ირაგის, დიდი თონეთის საშუალო სკოლები).

ზოგან ფაკულტატიური მეცადინეობის საათები გაკვეთილების ცხრილშია შეტანილი (ქ. თბილისის მე-60, 64-ე, 71-ე საშუალო სკოლები).

მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის გამო სოფლის რვაწლიანი და საშუალო სკოლის ფაკულტატიურ ჯგუფებში გაერთიანებულია 6—10 მოსწავლე, რითაც ირღვევა საინსტრუქციო მოთხოვნა.

მრავალგზის მითითებების მიუხედავად ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როდესაც ფაკულტატიური საათები დათმობილი აქვს გუნდს; მხატვრულ კითხვას და სხვა საწრეო ღონისძიებებს (ქ.

თბილისის, მე-60, 63-ე, 81-ე, 113-ე, 88-ე, ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლები).

ხშირ შემთხვევაში ფაკულტატიური მეცადინეობა ტარდება დაბალ თეორიულ დონეზე, მასწავლებლები კმაყოფილდებიან პროგრამული თეორიული საკითხების უფერულად გადაცემით. ცალკეულ შემთხვევაში მეცადინეობის შინაარსი არ სცილდება ძირითადი პროგრამით გათვალისწინებული მასალის ფარგლებს, სუსტია მასწავლებელთა მეთოდური მომზადების დონე.

კ ო ლ ე გ ი ა ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიმდინარე წლის მაის-ივნისში განათლების სამინისტროს სარეკომენდაციო წერილებისა და შესაბამისი ბრძანებების გასაცნობად ჩაატარონ თათბირ-სემინარები სკოლის დირექტორებთან და ფაკულტატიური კურსის წამყვან მასწავლებლებთან.

—მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეაჯამონ ფაკულტატიური მეცადინეობის გასული წლების შედეგები და ანგარიში წარუდგინონ განათლების სამინისტროს. იზრუნონ სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად.

2. სკოლების სამმართველომ (ა. ჩხიკვაძემ) რესპუბლიკის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპლექსური შემოწმებისას სათანადო ყურადღება მიაქციოს სკოლებში ფაკულტატიური მეცადინეობის მიმდინარეობას.

3. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, სახელმძღვანელოებისა და მეთოდურმა განყოფილებებმა (გ. ფოფხაძემ, ტ. ტყემალაძემ, ვ. ცაავამ) დააჩქარონ ფაკულტატიური კურსის სახელმძღვანელოებისა და ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში დამხმარე ლიტერატურის შედგენა, გამოცემა და თარგმნა. გამოსცენ მეთოდური წერილების სერია ფაკულტატიური კურსის მასწავლებელთა დასახმარებლად.

მ/წლის სექტემბერ-ოქტომბერში მოაწყონ ზონალური სემინარ-თათბირები ფაკულტატიური მეცადინეობის აქტუალურ საკითხებზე.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილმა) მ/წლის ივნის-ივლისში მოაწყოს მოკლევადიანი კურსები იმ მასწავლებელთათვის, რომლებიც ფაკულტატიურ მეცადინეობას ატარებენ.

5. სკოლების დირექტორებმა:

—საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა უმაღლესი სასწავლებლებიდან და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან.

—სკოლებში, სადაც ვერ ხერხდება ფაკულტატიური ჯგუფის ჩამოყალიბება კონტინგენტის სიმცირის გამო, შემოიღონ სასკოლათაშორისო ფაკულტატივები.

—გადამჭრელი ზომები მიიღონ სათანადო მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული და მეთოდური ლიტერატურით სასკოლო ბიბლიოთეკების შესავსებად.

—მოსწავლეთა უნარებისა და მიდრეკილებების გამოსავლინებლად საგნის მასწავლებელთან და კლასის ხელმძღვანელთან ერთად აქტიურად ჩაებან კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორები.

—აღკვეთონ ფაკულტატიური მეცადინეობის საათების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევები, მტკიცე კონტროლი დააწესონ ფაკულტატიური ჯგუფების დაკომპლექტებაზე, გაითვალისწინონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, ინტერესი და მიდრეკილებანი, არ დაუშვან IX კლასში შემოღებული ფაკულტატივის სხვა საგნით შეცვლა X კლასში.

7. აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს (აკ. ჩხიკვაძეს).

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური წერილი

ფაკულტატიური მეცადინეობის ადგილი სასწავლო გეგმაში

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ არჩეულ სასწავლო საგანში მათი ცოდნის გაღრმავების, მრავალმხრივი ინტერესების და უნარების განვითარების მიზნით VII კლასიდან ფაკულტატიური მეცადინეობის შემოღებას, გარკვეული რაოდენობით ისეთი სკოლების ორგანიზებას, რომელთა IX—X კლასებში უფრო ღრმად იქნება შესწავლილი მათემატიკისა და გამოთვლითი მექანიკის, ფიზიკისა და რადიოელექტრონიკის, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის, ბიოლოგიისა და აგრობიოლოგიის, ჰუმანიტარული საგნების თეორიული და პრაქტიკული კურსი.

ფაკულტატიური კურსის პროგრამები

ფაკულტატიური მეცადინეობა საქართველოს სსრ სკოლებში 1967/68 სასწავლო წელს იქნა შემოღებული, იგი ორგვარი სახითაა წარმოდგენილი:

ა) დამატებითი თავები და მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატიური კურსის საკითხები, რომლებიც შეისწავლება ძირითადი სასწავლო გეგმებით მეცადინეობის პარალელურად;

ბ) სპეციალური კურსი, რომელიც მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატური კურსის ცალკეულ თავებს აფართოებს და აღრმავებს.

ახლო მომავალში ნავარაუდევია ფაკულტატიური მეცადინეობის შემოღება ისეთ დამოუკიდებელ სასწავლო საგნებში, როგორიცაა, ლოგიკა, ფსიქოლოგია, მინერალოგია და სხვ; მაგრამ ჯერ-

ჯერობით ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე საბოლოოდ გადასვლამდე, უნდა შემოვიფარგლოთ ფაკულტატიური მეცადინეობით იმ სასწავლო დისციპლინებში, რომლებიც გათვალისწინებულია ძირითადი გეგმით.

ძირითადი კურსის პროგრამა და ფაკულტატიური მეცადინეობის დამატებითი თავები, ერთად აღებული, ქმნიან ამა თუ იმ საგანში უფრო მაღალი დონის პროგრამას. ამგვარი პროგრამები შემოღებულია: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ხაზვაში, ქიმიაში, მუსიკაში, სახვით ხელოვნებაში, უცხოურ ენებში, შრომით სწავლებაში, ფიზკულტურასა და დაწყებით სამხედრო მომზადებაში.

„დამატებითი თავები და საკითხები" შედგენილია იმ ვარაუდით, რომ ფაკულტატიურ მეცადინეობას ატარებს მასწავლებელი, რომელიც ძირითადი სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანს ასწავლის. დამატებითი მასალა ძირითად კურსთან ერთად სინქრონულად შეისწავლება. თუ კურსის მასალა ძირითად სასწავლო საგანთან სინქრონულად არაა დაკავშირებული, მეცადინეობა ტარდება წლის მეორე ნახევარში ან მომდევნო კლასში, ფაკულტატიური მეცადინეობის „დამატებით თავებსა და საკითხებზე" ფორმდება როგორც დამოუკიდებელი სპეციალური კურსი და შეიძლება მიჰყავდეს სხვა მასწავლებელს. მაგალითად, ფაკულტატიური მეცადინეობის პროგრამებში ფიზიკის კურსის დამატებითი თავები და საკითხები სპეციალურ კურსად ყალიბდება: შენახვის კანონი მექანიკაში (ახალი პროგრამით VIII კლასისათვის), რჩეული თავები მოლეკულური ფიზიკისა (IX კლ.). ელექტრონიკის ფიზიკური საფუძვლები (X კლ.), ნივთიერებათა აგებულება და თვისებები (IX—X კლ.). ამა თუ იმ საგანში სპეციალური კურსი ემსახურება მეცნიერებათა საფუძვლებში მონწავლეთა ცოდნის შემდგომ გაღრმავებას და მის პრაქტიკაში გამოყენების ჩვეულების ფორმირებას.

რეკომენდაცია ეძლევა შემდეგ სპეციალურ კურსს:

ისტორიაში: საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობისა და საგარეო პოლიტიკის ისტორია (X კლ.).

მათემატიკაში: გამოთვლითი მათემატიკა, დისკრეტული მათემატიკის ელემენტები, დაპროგრამება, ხაზობრივი სივრცეები

და ხაზობრივი დაპროგრამების ამოცანების გადაწყვეტის მეთოდები (IX—X კლ.).

ხაზვაში: მხაზველობითი გეომეტრიის საფუძვლები, სამანქანათმშენებლო ხაზვა, სააღმშენებლო და ტოპოგრაფიული ხაზვა (IX და X კლ.).

ფიზიკაში: ელექტროტექნიკის ფიზიკური საფუძვლები (IX კლასი) რადიოელექტრონიკის საფუძვლები (X კლასი), ფიზიკო-ტექნიკური გაზომვის საფუძვლები პრაქტიკუმებითურთ (IX და X კლასები). კოსმოსის ფიზიკა (X კლასი).

ქიმიაში: ქიმიური ანალიზის საფუძვლები (IX და X კლასები), აგროქიმიის საფუძვლები (IX და X კლასები), ქიმიური რეაქციების კანონზომიერებანი (X კლასი), ქიმიური ტექნოლოგია (X კლასი).

ბიოლოგიაში: მცენარეთა ფიზიოლოგია (IX კლასი), ცხოველთა ფიზიოლოგია (IX კლასი), უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგია ფსიქოლოგიის საფუძვლებით (IX კლასი).

გეოგრაფიაში: გეოლოგია, ტოპოგრაფიისა და კარტოგრაფიის საფუძვლები (IX კლასი).

ხელოვნებაში: სიმღერა და მუსიკა, ხატვა, სახვითი ხელოვნების ისტორია (VII—IX კლასები). მუსიკალური ხელოვნების ისტორია (VIII—X კლასები) და სხვ.

სპეციალური კურსი, როგორც წესი, ეძლევა ძირითადი საასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შემდეგ, რომელთა გაფართოებასა და განვითარებასაც წარმოადგენს იგი.

მოსწავლეთა მიერ არჩეული საგნების უფრო ღრმად შესწავლის მიზნით რეკომენდებულია, რომ შესაძლებლობისამებრ შევეხამოთ ფაკულტატიური კურსისა და შრომითი სწავლების პრაქტიკუმების არჩევა (ელექტროტექნიკის ფიზიკური საფუძვლები და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმი, მცენარეთა ფიზიოლოგია და მცენარეთამცოდნეობა პრაქტიკუმი და ა. შ.).

უცხოურ ენებში ფაკულტატიური მეცადინეობა ტარდება ძირითადი და დამატებითი კურსის შეერთებული პროგრამით უცხოური ენის შემსწავლელ სპეციალურ ჯგუფებში (თუ სკოლას საამისო პირობები აქვს). უცხოურ ენაში მეცადინეობისათვის ჯგუფი შეიძლება შეიქმნას სულ მცირე 12 მოსწავლისაგან. ასეთ ჯგუფებთან მუშაობა უნდა წარიმართოს ორგვარი დონის პროგრამით:

ა) უცხოურ ენაზე კითხვის შესწავლის კურსი, ბ) უცხოურ ენაზე ზეპირმეტყველებისა და კითხვის კურსი. პირველი მათგანი გათვალისწინებულია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც მაღალ წარმატებას ამჟღავნებენ უცხოურ ენებში, მაგრამ მათი ძირითადი ინტერესი მაინც მეცნიერების რომელიმე სხვა დარგისადმი ან პრაქტიკული საქმიანობისადმია მიმართული. ამ მიზნით კურსის პროგრამა ითვალისწინებს კითხვასა და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის რეფერირებას, აგრეთვე, ლექსიკისა და მწიგნობრული სტილისათვის დამახასიათებელი გრამატიკული მოვლენების შესწავლას.

პროგრამულ მასალათა შესასწავლად გამოყოფილია 2—2 კვირეული საათი VIII—X კლასებში. ამას ემატება ძირითადი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათები.

მეორე სახის ფაკულტატიური კურსი—უცხოურ ენაზე ზეპირმეტყველებისა და კითხვის შესწავლა—გათვალისწინებულია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებმაც უცხოური ენა აირჩიეს თავისი მომავალი სპეციალური განათლების საგნად ან ისეთ პრაქტიკულ საქმიანობას აპირებენ, რომელიც მოითხოვს უცხოური ენის კარგ ცოდნას. ამავე კურსში გაფართოებულია კითხვის, ზეპირი და წერითი მეტყველების სავარჯიშოთა პროგრამა.

მოსწავლეთა სურვილის მიხედვით, IX—X კლასებში შრომითი სწავლების მეცადინეობას ზოგჯერ შეიძლება მიეცეს ისეთი პრაქტიკული მუშაობის სახე, რაც გულისხმობს უცხოური ენის ცოდნის გამოყენებას (მანქანაზე ბეჭდვა, უცხოურ ენაზე თარგმნა, უმცროს კლასელებისადმი დახმარების გაწევა, უცხოურ ენაში და სხვ.).

ფაკულტატიური მეცადინეობის ორგანიზაცია და მ ე თ ო დ ე ბ ი

მოქმედი სასწავლო გეგმით VIII, IX და X კლასებში ფაკულტატიური მეცადინეობისათვის განკუთვნილია 2—2 საათი კვირაში. თუ სკოლაში პარალელური კლასებია, ფაკულტატიური მეცადინეობისათვის ჯგუფი ყალიბდება ამა თუ იმ საგნის გაღრმავებით შესწავლის მსურველი მოსწავლეებისაგან ნებისმიერი პარალელური კლასიდან.

სახალხო განათლების განყოფილების რეკომენდაციით ფაკულტატიური მეცადინეობა შეიძლება შეიქმნას რამდენიმე სკოლის მოსწავლეებისათვისაც.

VII—VIII კლასებში ფაკულტატიური მეცადინეობა ჩვეულებ-
რივ ერთი წლით იგეგმება. მოსწავლეს არ ეკრძალება ერთი საგ-
ნის გაძლიერებული სწავლებიდან გადავიდეს სხვა საგნის გაძლიე-
რებულ სწავლებაზე. აღნიშნულ კლასებში გაძლიერებული მეცადი-
ნეობისათვის საგნის არჩევამ არ უნდა გადაწყვიტოს მოსწავლეთა
დასპეციალება მომდევნო კლასებში. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ
უცხოურ ენაში მეცადინეობა, რომელიც იგეგმება 2—3 წლით.

IX და X კლასებში კი ფაკულტატიური მეცადინეობა გამიზ-
ნულია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებმაც გაძლიერებულად
შესწავლისათვის აირჩიეს ესა თუ ის საგანი 2 წლით. ამის გამო
X კლასის პროგრამა ძირითადად ემყარება იმ ცოდნას, რაც მოპო-
ვებულია IX კლასში ფაკულტატიური კურსის გავლისას.

ფაკულტატიური მეცადინეობა არ უნდა გადაიქცეს უმაღლესი
სასწავლებლებსა თუ ტექნიკუმებში შესასვლელი გამოცდებისათვის
მოსწავლეთა მზადების კერად, ძირითადი სასწავლო გეგმით გათვა-
ლისწინებულ მასალებზე დამატებით მეცადინეობად, იგი არ უნდა
იწვევდეს მოსწავლეთა ვიწრო დასპეციალებას; ძირითადი სასწავ-
ლო გეგმით გათვალისწინებული საგნები არ უნდა დაიჩრდილოს
„საყვარელი საგნების“ სასარგებლოდ, ერთი ციკლის საგნები (რო-
მელიც არ უნდა იყოს) არ უნდა დაუპირისპირდეს მეორეს.

პედაგოგიური საბჭო მოსწავლეთა ასარჩევად ასახელებს სა-
სწავლო დისციპლინებს, რომლებშიაც მომავალ სასწავლო წელს
შეიძლება შემოღებულ იქნეს ფაკულტატიური მეცადინეობა (ლი-
ტერატურა, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ისტორია, შრომითი
სწავლება და სხვა.

ფაკულტატიური მეცადინეობა ცხადდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სკოლას ჰყავს მაღალკვალიფიციური მასწავლებელი, რო-
რომელიც სურვილს განაცხადებს წარმართოს ფაკულტატიური
კურსი;

ბ) სკოლას აქვს ისეთი კაბინეტები და ლაბორატორიები,
სადაც შესაძლებელია ფაკულტატიური მეცადინეობის მაღალ დო-
ნეზე ჩატარება;

გ) მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმძღვანე-
ლოებით, დამხმარე წიგნებით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ
ფაკულტატიური კურსების სპეციალური დამხმარე სახელმძღვანე-
ლოების უმეტესობა გამოცემული იქნება მხოლოდ 1—2 წლის
შემდეგ, მანამ კი აუცილებელი დამხმარე მასალები უნდა მოიძებ-

ნოს ბიბლიოთეკებსა და სხვადასხვა მეცნიერულ-პოპულარულ გამოცემებში, კერძოდ, ფართო გამოყენებისათვის რეკომენდაციას ეძლევა შესაბამის სტატიებს საბავშვო ენციკლოპედიიდან, ეპიზოდურ გრამებს ახლავს დამხმარე სახელმძღვანელოების საორიენტაციო სია, თუმცა მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ, ფაკულტატიური კურსის პროგრამის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის ხელმძღვანელობას ეკისრება ზრუნვა ფაკულტატიური მეცადინეობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

მოსწავლეს უფლება ეძლევა აირჩიოს ერთდროულად არა უმეტეს ორი ფაკულტატიური კურსისა: ფაკულტატიური კურსის არჩევის ნება აქვს იმისდა მიუხედავად, თუ როგორი წარმატება ჰქონდა მას წინა კლასებში.

თუ სპეციალური კლასების დაკომპლექტებისას მსურველთა რიცხვი აღემატება მისაღებ მოსწავლეთა რაოდენობას, უპირატესობა ეძლევა იმ მოსწავლეს, რომელსაც არჩეულ საგანში ან მის მონათესავე სასწავლო დისციპლინაში გასული წლების მონაცემების მიხდვით უფრო მაღალი შეფასება აქვს ან მეტი შრომისუნარიანობით გამოირჩევა.

ფაკულტატიური კურსების დაკომპლექტებისას შესარჩევი გამოცდების ჩატარება დაუშვებელია.

ყოველი მოსწავლე, რომელიც ჩაეწერება ამა თუ იმ ფაკულტატიური კურსის გასავლელად, ვალდებულია დაესწროს მეცადინეობას და შეასრულოს კურსის პროგრამით გათვალისწინებული ყველა სამუშაო. მეცადინეობის გაგრძელებაზე უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო წლის პირველი ან მეორე ნახევრის დასასრულს.

თეორიული სახის ორსაათიანი ფაკულტატიური კურსის დამთავრებისას ტარდება გამოცდები ან საკონტროლო სამუშაოები.

მეცნიერულ-პრაქტიკულ კურსში კი შედეგები მასწავლებელს გამოჰყავს მიმდინარე წარმატებების საფუძველზე.

ცხადია, ფაკულტატიური მეცადინეობა შემოღებულია მოსწავლეთა ინტერესებისა და უნარების გათვალისწინებით არჩეულ სასწავლო საგანში მასალის უფრო ღრმად შესწავლისათვის, ამიტომ საჭიროა იგი ტარდებოდეს მაღალ დონეზე დიდი რაოდენობით მოსწავლეების ჩაბმისადმი ფორმალური მისწრაფებების გარეშე. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ახალ სასწავლო გეგმაში სავალდებულო მეცადინეობაზე საათების შემცირება ხორ-

ციელდება არა მარტო ინტერესებისა და უნარების მიხედვით მეცადინეობის გასაფართოებლად, არამედ მოსწავლეთა გადატვირთვის თავიდან აცილებისა და ძირითადი სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში დამოუკიდებელი მუშაობის გაშლისათვისაც (მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის კითხვა, მხატვრული, სპორტული და სხვა ფორმის თვითშემოქმედების განვითარება და სხვა).

ფაკულტატიურ კურსს ამტკიცებს სკოლის პედსაბჭო. ითვალისწინებს რა კურსის ხასიათს, კაბინეტებისა და ლაბორატორიების სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფას, ფაკულტატიურ მეცადინეობაზე მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს იმ საგნის მასწავლებელი, რომელსაც ეს კურსი მიჰყავს.

თუ ფაკულტატიური კურსების რიცხვი აღმოჩნდება მათი ხელმძღვანელობისათვის ასანაზღაურებელი საათების საერთო რაოდენობაზე მეტი, მეცადინეობა ჩატარდება იმ კურსში, რომელშიც მოსწავლეთა მეტი რაოდენობა იქნება გაერთიანებული.

სპეციალური კლასები და სკოლები მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და ჰუმანიტარულ საგნებში შეიძლება გაიხსნას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განათლების სამინისტროს ნებართვით.

სპეციალური კლასები იხსნება საშუალო სკოლაში, სადაც არის ფაკულტატიური კურსის ორგანიზებისათვის ყველა საჭირო პირობა და არსებობს არჩეული საგნის თეორიულად და პრაქტიკულად შესწავლის მსურველთა მყარი კონტინგენტი.

ამგვარი პროფილის სპეციალური სკოლები იხსნება ყველა ზემოთჩამოთვლილი პირობის არსებობისას მსხვილ დასახლებულ პუნქტებში, სადაც საშუალო სკოლები დიდი რაოდენობითაა.

ცალკეულ საგანში სპეციალურ სკოლებსა და კლასებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა განყოფილება, მაგალითად, ფიზიკაში: ფიზიკა და რადიოელექტროტექნიკა, ფიზიკა და ელექტროტექნიკა, ფიზიკა და ავტომატიკა გამოთვლითი ტექნიკით: ბიოლოგიაში: მცენარეთა ფიზიოლოგია და მემცენარეობა, ცხოველთა ფიზიოლოგია და მეცხოველეობა, მიკრობიოლოგია; ქიმიაში: ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია, ქიმია და აგროქიმია, ჰუმანიტარულ საგნებში: ინგლისური, ფრანგული ან გერმანული ენების განყოფილება და სხვა.

სპეციალური სკოლები და კლასები, როგორც წესი, ამყარებენ კავშირს საწარმოებთან, სამეცნიერო-საკვლეო დაწესებულებებთან ან შესაბამისი პროფილის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან.

სპეციალურ სკოლებსა და კლასებში მიღება წარმოებს სკოლის მიკრორაიონის მიუხედავად.

სპეციალური სკოლები და კლასები არამაპროფილებელ დისციპლინებში მუშაობენ ყველა საშუალო სკოლისათვის საერთო გეგმით, პროგრამითა და სახელმძღვანელოებით.

მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება სპეციალურ სკოლებსა და კლასებში ისეთივე ხასიათისაა, როგორც ფაკულტატიური მეცადინეობა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძირითადი სასწავლო გეგმის მაპროფილებელი დისციპლინის, ფაკულტატიური მეცადინეობისა და შრომითი სწავლების საათები ერთ სპეციალურ საგალდებულო ციკლად ერთიანდება. მოსწავლეს უფლება ეძლევა აირჩიოს კლასი ან სკოლა, მაგრამ თვით სასწავლო საგანი არა.

სპაციალურ კლასებსა და სკოლებში მაპროფილებელი სასწავლო საგანი ისწავლება გაღრმავებულად სავალდებულო წესით, მის შინაარს შეადგენს ძირითადი კურსისა და დამატებით თავებისა და საკითხების პროგრამა. მოხერხებული სარგებლობის მიზნით სპეციალურ სკოლებს ეძლევა გაძლიერებული კურსის ერთიანი პროგრამა.

სპეციალურ კლასებსა და სკოლებში დასაშვებია მხოლოდ მასალის კლასიდან (X-დან IX) კლასში გადაჯგუფება ან ცალკეული საკითხების სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან პირველში გადატანა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს ფაკულტატიური კურსების შემოღებას და სპეციალური კლასებისა და სკოლების შექმნას. აღნიშნული ღონისძიების გატარება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავიღრმაოთ მოსწავლეთა ცოდნა არჩეულ სასწავლო საგანში, ხელი შევუწყოთ საყვარელი საგნით გატაცებას. ავამაღლოთ საერთო ინტერესი სხვა საგნის შესწავლისადმი.

მოსწავლეთა სურვილისა და უნარების მიხედვით არჩეული საგნების შესწავლა მკვეთრად ამაღლებს სასწავლო მეცადინეობის ეფექტურობას, აკადემიურ მაჩვენებლებს და წარმართავს მოსწავლეთა უნარებს საკუთარი ინიციატივით შეივსონ ცოდნა. მოსწავ-

ლეთა არჩევით მეცადინეობის აღნიშნული ფორმა წარმოადგენს მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივების საწინდარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ეს სრულ უფლებას იძლევა სკოლისა და განათლების განყოფილებების ხელმძღვანელთა განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრას ფაკულტატიური მეცადინეობის სწორად წარმართვას.

ფაკულტატივების შემოღებამ არ უნდა გამოიწვიოს ჩამორჩენილი მოსწავლეებისადმი ყურადღების შესუსტება. ძირითადი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამები არის სახელმწიფოებრივი მინიმუმი, რომლის ცოდნა აუცილებელია ყველა მოსწავლისათვის.

სკოლის უპირველესი ამოცანაა უახლოეს დროში მიაღწიოს მოსწავლეთა ცოდნის დონის მნიშვნელოვან ამაღლებას, მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვის შემდგომ შემცირებას.

ფაკულტატიური მეცადინეობა ასევე არ ცვლის სასკოლო პრაქტიკაში წინათარსებულ ფორმებს (ინდივიდუალური დავალებები მთელ კლასთან ფრონტალური მუშაობის დროს, საგნობრივი წრეები და კლასგარეშე საგანმანათლებლო მუშაობის სხვა ფორმები, წრეები და უმაღლეს სასწავლებელთა კათედრებთან, სამეცნიერო დაწესებულებათა ლაბორატორიებთან, კლუბებთან და ბიბლიოთეკებთან არსებული გაერთიანებები, მოსწავლეთა მონაწილეობა პიონერთა სახლებსა და სასახლეებში, ბავშვთა ტექნიკურ სადგურებში, ნორჩ ნატურალისტთა სადგურებსა და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებებში მუშაობა).

მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების განვითარების ყველა ეს პედაგოგიურად ძალზე მნიშვნელოვანი ფორმა სკოლის დიდი მხარდაჭერით უნდა სარგებლობდეს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
მეთოდური განყოფილება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამონაწერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 26 მარტის სხდომის ოქმიდან № 5

მოისმინეს: კოჯრის № 1 საბავშვო სახლის დაარსების 50 წლისთავის აღნიშვნის შესახებ (ამხ. რ. კანდელაკი).

დაადგინეს: 1. 1972 წლის ივნისში აღინიშნოს კოჯრის № 1 საბავშვო სახლის დაარსების 50 წლისთავი.

2. დაევალოს გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებას (ამხ. ა. ერტელიშვილს) შეუთანხმოს საკითხი რაიონის ხელმძღვანელობას და ერთი თვის ვადაში შექმნას კომისია საზოგადოებრივი, სახალხო განათლების, საშეფო ორგანიზაციისა და საბავშვო სახლის წარმომადგენლების შემადგენლობით.

3. დაევალოს კომისიას:

ა) შეადგინოს საბავშვო სახლის დაარსების 50 წლისთავის მზადებისა და საზეიმო სხდომის ჩატარების გეგმა და იზრუნოს ამ ღონისძიების სათანადო დონეზე ჩატარებისათვის;

ბ) შეარჩიოს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში 1972 წლის 1-ელ აპრილამდე დასაჯილდოებლად წარმოადგინოს საბავშვო სახლის მოწინავე მუშაკები.

თავმჯდომარე თ. ლაშქარაშვილი

მდივანი ე. აგლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 29 მარტის ბრძანება № 210

თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებისა და ამავე რაიონის ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს აღვნიშნავ, რომ თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებას გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების განხორციელებისა და სასწავლო-დაწესებულების მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით, მაგრამ განათლების განყოფილებასა და სკოლების მუშაობაში კვლავ შეინიშნება ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსწორების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. თეთრიწყაროს რაიონის განათლებას განყოფილებამ (გამგე დ. ბექაური):

ა) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად; გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა სკოლების დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივების მიმართ. რეგულარულად შეისწავლოს რაიონის სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და შედეგები განიხილოს განათლების საბჭოს სხდომებზე, ამასთან ერთად უზრუნველყოს მიღებულ გადაწყვეტილებათა სკოლებამდე დაყვანა, პერიოდულად შეამოწმოს სკოლებისათვის მიცემულ მითითებათა შესრულების მიმდინარეობა და იზრუნოს მათი ქმედითუნარიანობისათვის;

ბ) არ დაუშვას ამა თუ იმ საგნისათვის დაწესებული საათების თვითნებურად გაზრდა ან შეკვეცა და მიაღწიოს იმას, რომ სკოლის ხელმძღვანელები გაკვეთილების ცხრილის შედგენისას ნუხრელად ხელმძღვანელობდნენ სასწავლო გეგმით. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა საპროგრამო მასალით გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით უზრუნველყოს თითოეულ საგანში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის გაკვეთილების ჩატარება, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების გამო გაცდენილი საათების ანაზღაურება მოახდინოს დამატებითი საათებისა და მარტის არდადეგების ხარჯზე;

გ) მიაღწიოს იმას, რომ სკოლის ხელმძღვანელები, სასწავლო პროცესის სწორად წარმართვის მიზნით, სისტემატურად ეცნობოდნენ და სწავლობდნენ სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, განათლების სამინისტროსა და განათლების სხვა ორგანოების სახელმძღვანელო დოკუმენტებს. გადაჭრით გააუმჯობესოს სკოლებში შიდასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის მეთოდები, რათა სკოლის ხელმძღვანელები ღრმად აანალიზებდნენ და წვდებოდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა საკითხს, სრულყოფდნენ თვითეული საგნის სწავლებას, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობით მუშაობას;

დ) გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლებში მასწავლებელთა მეთოდკომისიებისა და სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებების მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღმოფხვრას მათი მუშაობის პრაქტიკიდან ფორმალიზმი და მიაღწიოს იმას, რომ წაკითხული მოხსენებები ნამდვილად პასუხობდეს მასწავლებელთა თეორიული დონის ამაღლებასა და მეთოდური დახელოვნების ამოცანებს. განსაკუთრებული კონტროლი დააწესოს დახელოვნების ინდივიდუალური გეგმით მომუშავე მასწავლებლებზე და საჭიროების შეათხვევაში აღმოუჩინოს მათ სათანადო დახმარება.

ე) დასახოს ღონისძიებანი რაიონის სკოლების ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიების და სახელოსნოების თვალსაჩინო მასალებით, ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობებით უზრუნველყოფის მიზნით, რათა ყველა გაკვეთილზე ტარდებოდეს პროგრამით გათვალისწინებული ცდა და ლაბორატორიული სამუშაო. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჰუმანიტარული და ესთეტიკური ციკლის საგნებს სწავლების პროცესში თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყე-

ნების საქმეს, კატეგორიულად აღკვეთოს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების გაუქმების ხარჯზე სკოლებში მრავალ-ცვლიანობის შემცირება;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეებში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამომუშავებას, სხვადასხვა პროფესიებისადმი ინტერესის გაღვივებას. ამ მიზნით დასახოს ღონისძიებანი რაიონის სკოლებში შრომითი სწავლების ხარისხის ამაღლებისა და პროფსაორიენტაციო მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სწავლებაში შრომითი პრაქტიკუმების იმ ვარიანტების დანერგვისათვის, რომლებიც მოცემული რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე საჭირო მანქანა-იარაღების რემონტისა და მართვის შესწავლას ითვალისწინებენ.

აღკვეთოს სასკოლო მიწის ნაკვეთების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევები. დაავალდებულოს სკოლების ხელმძღვანელები, რათა სასკოლო მიწის ნაკვეთებზე ფართოდ გაშალონ აგროქიმიური საცდელი მუშაობა, ხოლო ნაკვეთებიდან მიღებული სახსრები ჩაურიცხონ სახბანკს და მათი ხარჯვა აწარმოონ საფინანსო ორგანოების მიერ დადგენილი წესების მიხედვით;

ზ) განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მიმართ გაატაროს საჭირო ზომები; დააწესოს მათ მუშაობაზე სისტემატური კონტროლი, ჩააბას ისინი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებებში და თუ ამის შემდეგაც ვერ შესძლებენ მუშაობის გარდაქმნას, სათანადო წესის დაცვით განიხილონ საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

სამშვილდის საშუალო სკოლის დირექტორის ა. ოვანესიანის საკითხი გამოჯანმრთელების შემდეგ შეისწავლოს და მის მიმართ გაატაროს სათანადო ზომები.

ეს ბრძანება და მოხსენებითი ბარათი განიხილოს რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს გატარებულ ღონისძიებათა შესახებ მოახსენოს განათლების სამინისტროს.

2. საგნის სუსტი ცოდნისა და თავისი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური დიდი თონეთის საშუალო სკოლის ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლებს ქ. სანამიანსა და ზ. გოგიჩაიშვილს, ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ვ. ას-

რათაშვილს, კოდის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მაწავლებელს ზ. ჩოგოვაძეს, წინწყაროს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ვ. ტიპიევს, ამავე სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს ვ. დიმოევს, სამღრეთის რვაწლიანი სკოლას ისტორიის მასწავლებელს ა. სიმონიანს.

3. დაღეთ-ხაჩენის საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესის სუსტი ხელმძღვანელობისა და სომხური სკოლების მეთოდგაერთიანების მუშაობის ჩაშლისათვის გამოეცხადოს საყვედური სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში გ. არუთინიანს.

4. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური დაღეთ-ხაჩენის საშუალო სკოლის დირექტორს ს. შამირიანს, წინწყაროს საშუალო სკოლის დირექტორს მ. საკალიძეს.

5. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისათვის მოიხსნას დირექტორის თანამდებობიდან დიდი თონეთის საშუალო სკოლის დირექტორი გ. ლონდარიძე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წლის 20 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ПРИКАЗ № 212
По Министерству Просвещения Грузинской ССР от 30 марта 1971 года

Об утверждении отчета по республиканскому бюджету на 1970 год

Общая сумма классового расхода по республиканскому бюджету 1970 г. составила 18062,5 тыс. руб. при 18573,9 тыс. руб. отпущенных по бюджету средств, таким образом неосвоение средств определилось в сумме 611,4 тыс. руб., а по сравнению с планом—780,0 тыс. рублей.

В основном не были освоены средства по строительству зданий школ—262,0 тыс. руб., питание—182,3 тыс. рублей.

Неосвоение средств по питанию было вызвано невыполнением плана набора контингента в специальные школы-интернаты, при плане 1839 воспитан, фактически выполнение определяется в 1684 воспитанника.

Наряду с этим руководители некототорых учреждений допустили нарушение бюджетной дисциплины, так по Гуматской школе-интернату перерасход хозяйственных средств составил 4.0 тыс. руб., по Ахалдабской школе-интернату 3,9 тыс. руб., по Самтредской специальной школе—4,6 тыс. рублей.

В целях изжития указанных выше нарушений,

Приказываю:

1. Обязать руководство учреждений:

а) принять решительные меры к недопущению каких-либо бюджетно-финансовых нарушений и в кратчайший срок ликвидировать всю дебиторскую задолженность;

б) обеспечить полное освоение средств и выполнение всех мероприятий, предусмотренных бюджетом.

2. Директорам специальных школ-интернатов:

а) обеспечить набор детей в полном соответствии с утвержденным планом;

б) обеспечить детей нормой питания, согласно утвержденному количеству и ассортименту;

в) принять меры к сохранности жесткого и мягкого инвентаря, не допуская преждевременной его амортизации;

г) ввести строжайшую экономию при расходовании хозяйственных средств.

3. Планово-финансовому Управлению (тов. Квачадзе А. Ф.):

а) при ассигновании средств на 2-й квартал, текущего года зачесть подведомственным организациям всю сумму дебиторской задолженности и сверхнормативные остатки материалов;

б) выделенные суммы по капитальному ремонту зданий по отдельным учреждениям производить лишь после утверждения соответствующей проектно-сметной документации.

Отчет за 1970 год по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР утвердить.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения ГССР от 26 марта 1971 года.

Министр просвещения
Грузинской ССР **Т. Лашкарашвили**

ПРИКАЗ № 213
По Министерству Просвещения Грузинской ССР от 30 марта 1971-го года

Об утверждении отчета хозорганам за 1970 год

Отметить, что работа хозорганов в целом по Министерству просвещения Грузинской ССР в 1970 г. характеризуется некоторым улучшением, так, план выпуска продукции учебно-производственными мастерскими при школах-интернатах выполнен на 123,1% (план 1570,0 тыс. руб., выполнено 1933,0 тыс. руб.), также перевыполнен план реализации на 22,4% и прибыли на 12,6%.

По снабженческим оргаризациям план реализации товаров перевыполнен на 1160,3 тыс. руб., при плане 7700,0 тыс. руб. реализация товаров составила на 8850,3 тыс. руб. или более плана на 15%, снижены издержки обращения на 26,7 тыс. руб., при полном выполнении обязательств по отчислению прибылей в бюджет получено сверхплановая прибыль в 7,3 тыс. рублей.

Однако, некоторые хозорганы допустили удорожание себестоимости продукции на 23,7 тыс. руб., а по снабженческим организациям сверхплановые убытки—уплоченные штрафы и пени за несвоевременную оплату счетов в сумме 20,6 тыс. рублей.

Возросла дебиторская задолженность на 36,3 тыс. руб., при некотором снижении кредиторской задолженности.

Отчетный год закончили с превышением оборотных средств в сумме 37,6 тыс. рублей.

Наряду с этим межшкольные мастерские Абхазской АССР и Аджарской АССР: Махинджаурская и Драндская недовыполнили

план выпуска продукции на 30% и соответственно недодали прибыли в сумме 6,2 тыс. рублей.

В целях обеспечения выполнения плана 1971 г.,

П р и к а з ы в а ю:

1. Директорам учебно-производственных мастерских принять меры к удешевлению продукции и улучшению ее качества, не допуская изменения существующих стандартов и ассортимента.

2. Передать из прибыли 1969 и 1970 г.г. 150,0 тыс. руб. на строительство объектов просвещения по плану нецентрализованных капвложений, 42,0 тыс. руб. в уставные фонды мастерских и 28,0 тыс. руб. зачислить в резерв Министерства просвещения.

3. Директорам всех хозорганов до 1-го октября 1971 года ликвидировать всю дебиторскую задолженность.

4. Начальнику Управления снабжения и подсобных предприятий тов. Арвеладзе С. Н. и главному бухгалтеру Карашвили Д. Г. рассмотреть вопрос, по итогам деятельности за 1 кв. 1971 г. рентабелности и целесообразности дальнейшего существования учебно-производственных мастерских в с. Дранда Гульрипшского р-на Абхазской АССР и в Махинджаури Батумского р-на Аджарской АССР и результаты доложить коллегии Министерства к 25 апреля 1971 г.

Отчет за 1970 г. хозорганов Министерства просвещения Грузинской ССР утвердить.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения ГССР 26 марта 1971 года.

Министр просвещения
Грузинской ССР **Т. Лашкарашвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1987.21 12 აპრილის ბრძანება № 229

ქარელის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს ბრიგადის მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ ქარელის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლები, განსაკუთრებით კი აგარის საღამოს სკოლა, გარკვეულ მუშაობას ეწევიან წარმოებაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლების მიზნით სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლების მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრაც მოითხოვს რაიონის განათლების განყოფილების, სკოლების ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის მკვეთრ გაძლიერებას. მივაქცევ რა მათ ყურადღებას ამ გარემოებაზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი ქარელის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ გადაეგზავნოს რაიონის განათლების განყოფილებას, აგრეთვე შესწავლილ სკოლებს განსახილველად და სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა გასატარებლად.

2. ქარელის რაიონის განათლების განყოფილებამ (ნ. გოგიაშვილმა) ა/წ 25 ივნისისათვის მოახსენოს განათლების სამინის-

ტროს თანდართულ მოხსენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე დაეკისროს განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს (ამხ. ვლ. ჩინჩალაძეს).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 9 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

მოხსენებითი ბარათი

ქარელის რაიონის საღამოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს ბრიგადამ მიმდინარე წლის 12-დან 16 აპრილამდე შეისწავლა ქარელის რაიონის საღამოს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

საკითხის შესწავლით გამოირკვა, რომ ქარელის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლები გარკვეულ მუშაობას ეწევიან რვაწლიანი და საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ასამაღლებლად. ამ მხრივ და საერთოდაც გამოირჩევა აგარის საღამოს (ცვლის) სკოლა (დირექტორი მ. ბერუაშვილი).

სკოლებში ძირითადად სწორად არის შერჩეული პედაგოგიური კადრები. მათი ერთი ნაწილი გულმოდგინედ მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, ბეჯითად ემზადება გაკვეთილისათვის და სათანადო შედეგებსაც აღწევს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. ამ მხრივ გამოირჩევიან აგარის საღამოს სკოლის მასწავლებლები: ლ. ბასილაძე (ქართული ენა და ლიტერატურა), ნ. კოტიონოვა (რუსული ენა და ლიტერატურა) მ. ბერუაშვილი (იგივე დირექტორი, ისტორიკოსი) და სხვ.

აგარის საღამოს (ცვლის) სკოლაში მოფიქრებულად არის შედგენილი სკოლის წლიური, პედაგოგიური საბჭოსა და კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური სამუშაო გეგმები, ამასთან საჭირო კონტროლი და ხელმძღვანელობა ხორციელდება მათში გათვალისწინებული საკითხების შესრულებაზე.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ იმავე სკოლის კლასის ხელმძღვანელები ე. შუბითიძე (VIII კლასი). ვ. ბასილაძე (X კლასი), დ. ხ[illegible]ძე (XI კლასი). ისინი აღრიცხავენ კლასის მუშაობას, ანალ. წარმატ[illegible], უკავშირდებიან წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს [illegible] და-სხვ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქარელის საღამოს (ცვლის) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

სკოლების ხელმძღვანელები და მათი პედაგოგიური კოლექტივები ჯერ კიდევ არასაკმაო მუშაობას ატარებენ წარმოებაში დასაქმებული საშუალო და რვაწლიანი განათლების არამქონე ახალგაზრდების გამოსავლინებლად და სწავლებაში მათ ჩასაბმელად. ამის გამო არ შესრულდა სწავლებაში ახალგაზრდების ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 205 მოსწავლისა, ირიცხება 182. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რაიონში საერთოდ არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ტარდება საღამოს (ცვლის) სკოლების ქსელის გაშლისათვის. ამის გამო მთელ რაიონში მხოლოდ ორი სკოლა მუშაობს და ეს მაშინ, როდესაც აღრიცხულია რვაწლიანი და საშუალო განათლების არამქონე 16—35 წლის 1.246 ახალგაზრდა.

ქარელის საღამოს (ცვლის) სკოლის (დირექტორი ალ. კირკიტაძე) პედკოლექტივი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მოსწავლეთა მიერ სასწავლო მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენათა მინიმუმამდე დასაყვანად: 16 მარტს ამ სკოლის 92 მოსწავლიდან 1-ელ გაკვეთილს ესწრებოდა მხოლოდ 14 მოსწავლე; VII კლასში მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო სრულიად გაცდა ქართული ენის გაკვეთილი.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება ქარელის საღამოს (ცვლის) სკოლის წლიური სამუშაო გეგმა: იგი არ არის განხილული პედსაბჭოს სხდომაზე, შესასრულებელი საკითხები ზოგადად, არაკონკრეტულად არის ფორმირებული, რის გამოც ზოგჯერ შესრულების შემოწმებაც არ ხერხდება. მასში სრულიად გამოტოვებულია თავი—„წარმოება-დაწესებულებებთან მუშაობა“, ხოლო VI საკითხი „მუშაობის აღრიცხვა და კონტროლი“—ფორმირებულია ასე—„მუშაობის აღრიცხვა“. ამასთან, აქ საქმე მხოლოდ დასათაურებაში როდია: არაიშვიათად გეგმის სათანადო პარაგრა-

ფები არ შეიცავს ყველა იმ თუნდაც აუცილებელ საკითხს, რომელთაც უნდა ჰპოვონ ასახვა მათში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე სკოლის კლასის ხელმძღვანელებს აქვთ შედგენილი კლასის სამუშაო გეგმები, მაგრამ მათ, ამ გეგმებს, აკლია კონკრეტულობა; ასე მაგალითად, VII, IX და X კლასების ხელმძღვანელების—დიაკვნიშვილის, ქელეხსაევისა და კასრაძის სამუშაო გეგმებში არა ჩანს იმ წარმოება-დაწესებულებებთან მუშაობის საკითხები, რომელთა მუშები სწავლობენ ამ სკოლაში.

ერთფეროვანია გეგმით გათვალისწინებული საუბრების თემატიკა: საუბრის ჩატარება დაგეგმილია მხოლოდ საიუბილეო დღეებთან ან რაიმე სხვა მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით. არ ტარდება საუბრები ისეთ საინტერესო თემებზე როგორიც არის კომუნისტური მორალი, ათეიზმი და სხვა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქარელის საღამოს (ცვლის) სკოლის პედაგოგიური საბჭო. მას არა აქვს სამუშაო გეგმა, თუმცა ა/წ 14 მარტამდე ჩატარებულია სამი სხდომა, რომლებზედაც უმთავრესად განხილულია ორგანიზაციული ხასიათის საკითხები. სხდომებზე არ ყოფილა მსჯელობა არც ახალ სასწავლო გეგმებზე, არც ახალ პროგრამებზე, არც იმ სიახლეებზე, რომლებიც დამახასიათებელია მიმდინარე ეტაპზე საღამოს სკოლისათვის. ამიტომ არის, რომ თვით სკოლის დირექტორი და მასწავლებლები დღემდე არ არიან გარკვეულნი იმაში, თუ როგორ აწარმოონ ჩათვლები; ასე მაგალითად, ქიმიის მასწავლებელ ლ. წიწკაშვილს I სემესტრის ბოლოს დაწერილი ნიშნები მიაჩნია ჩათვლებად. წარმოდგენა არა აქვთ ახალ პროგრამებზე გადასვლის გრაფიკზე. პედსაბჭოს ოქმებში ვხდებით ენობრივი ხასიათის მრავალ შეცდომას.

სკოლებში არ არის შედგენილი ჩათვლებისა და კონსულტაციების ცხრილი.

მოუგვარებელია სასკოლო დოკუმენტაცია.

საღამოს სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი შეთავსებით მუშაობს. მათი პირადი საქმეები არ არის მოგვარებული: აგარის სკოლის შეთავსებით მომუშავე მასწავლებლების—ს. თოთლაძის, გ. ნოზაძის, ჯ. თოდაძის, ნ. კატიონოვას, ა. ჩერნიაევასა და ვ. ბოლაშვილის პირად საქმეებში მხოლოდ სამუშაოზე დანიშვნის ბრძანებები აღმოჩნდა.

დაბადების მოწმობის წარმოუდგენლობის გამო აგარის საღამოს სკოლაში გაუცემელია საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (1970 წ.) კურსდამთავრებულ ცხოვრებაშვილზე; 1969/1970 სასწავლო წელს რვაკლასდამთავრებული 16 მოსწავლიდან 7-ს ხელი არა აქვს მოწერილი მოწმობის მიღებაზე, თუმცა ისინი ამავე სკოლის მე-9 კლასში სწავლობენ.

* *
*

ცალკეული დისციპლინების სწავლების საქმეში არის შემდეგი მდგომარეობა.

ქარელის საღამოს სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ლილი მაღალდაძე. მას აქვს უმაღლესი განათლება, აქვს პედაგოგიური მუშაობის საკმაო სტაჟიც, მაგრამ მაინც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, რის გამოც, ჯერ კიდევ ადრე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის 5 თებერვლის № 71 ბრძანებით, გამოეცხადა საყვედური. მოსალოდნელი იყო, რომ მასწავლებელი მაღალდაძე სათანადო დასკვნებს გააკეთებდა და გააუმჯობესებდა მუშაობას, მაგრამ არა, არ ეტყობა... სამწუხაროდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ თვით საგნის, მისი სწავლების მეთოდებისა და ხერხების უცოდინარობის გამო მას საერთოდ ეძნელება ამ საგნის სწავლება.

16 მარტს VII კლასში მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო გაცდა 1 გაკვეთილი—ქართული ლიტერატურა, მეორე გაკვეთილი ლ. მაღალდაძემ ჩაატარა IX კლასში (წერა). საკონტროლო წერა ჩატარდა გრამატიკული ხასიათის სამუშაოზე (წინადადების სინტაქსური გარჩევა). დაფაზე დაუწერა გასარჩევად შემდეგი წინადადებები:

1. დედაჩემმა მომიტანა თავისი ხელით დაქსოვილი წინდები.
2. ჩვენი მურია ვილაცას ყეფავდა (გაკვეთილის გეგმაში სწორად ეწერა—„ჩვენმა მურიამ ვილაცას ყეფა დაუწყო).
3. არწივმა გაშალა თავისი ლონიერი ფრთები.

მასწავლებელი არ ითვალისწინებს კლასის მომზადების დონეს, მოსწავლეთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ამ აზრს მკაფიოდ ადასტურებს თვით აღნიშნულ კლასში ჩატარებული საკონტროლო წერა.

გარდა ამისა, გადაისინჯა საკონტროლო წერის რვეულები: მასწავლებელი უყურადღებოდ ასწორებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს, შეუმჩნევლად სტოვებს შეცდომების ერთ ნაწილს და ნამუშევარს ლიბერალურად აფასებს. მოვიტანთ მხოლოდ ორ მაგალითს IX კლ. მოსწავლე ს. ა.-ს საკონტროლო წერითი ნამუშევრიდან „მართლწერა“ დაცულია:

„როგორც აღნიშნული გვქონდა გ. ერისთავი თავის პოლიტიკურ მსოფლმხედველობით ლიბერალური თავადაზნაურობის დაცემა და გადაგვარება სხვანაირად არ შეიძლებოდა მოქცეულიყო მწერალი რომელსაც რეალიზმის მეთოდი ჰქონდა მომარჯვებული“.

ან კიდევ:

„გ. ერისთავის კომედიებში თავადაზნაურობა გამოყვანილია როგორც უმოქმედო უხერხულო ფუქსავატი ადამიანები, მკითხველი რწმუნდება პრივილეგიური წოდების გარდაუვალ განადგურებაში, თუმცა ისიც იგრძნობა რომ მწერალი სიხარულით არ ხვდება აღნიშნულ სოციალურ პროცესს“.

მოსწავლის მიერ შესრულებული ეს სამუშო შეიცავს უამრავ ასეთ სხვა შეცდომასაც, რომლებიც შეუმჩნევლად დაუტოვებია მასწავლებელს და ნამუშევარი დადებითად შეუფასებია.

აგარის საღამოს (ცვლის) სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ვარდო ბასილაძე. მას აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლება, მუშაობის საკმაო სტაჟიც, სკოლის მუშაობის შესწავლის დღისათვის მას არა ჰქონდა გაკვეთილი. მაგრამ საკლასო ჟურნალების ჩანაწერებითა და მოსწავლეთა საკონტროლო წერით სამუშაოებიდან ირკვევა, რომ მასწავლებელი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას.

* *

*

В Карельской вечерней школе русский язык и литературу преподает Светлана Енисеенко. Она является руководителем межшкольного методического объединения учителей русского языка и литературы.

16/III в X классе у нее был урок русской литературы. Некоторые ученики совсем не владеют языком. Это обстоятельство не могло не поставить учительницу в трудное положение.

Тема урока—1 часть рассказа А. П. Чехова „Человек в футляре". Материал опроса—биография А. П. Чехова.

Урок начинается с фронтального опроса. Вопросы учительницы целенаправлены и продуманы, однако при всем старании она не сумела добиться удовлетворительных ответов. Учительнице самой пришлось дополнять ответы учащихся. Вслед за этим Енисеенко вновь провела фронтальный опрос учащихся, в результате которого добилась нескольких удовлетворительных ответов. Естественно, что на опрос ушло гораздо больше времени, чем это планировала учительница.

Объяснение нового материала проводится квалифицированно. Речь учительницы правильна. Она хорошо увязывает изучаемый текст с современностью, использует воспитательный момент.

Закрепление проводиться при помощи контрольных вопросов и чтения учащимися текста (Тут же следует отметить, что в классе было мало книг). В процессе чтения педагог следит за произношением учащихся.

Недостатки урока:

1. Не была использована доска.

2. Учащиеся ничего не записывали.

3. Недостаточное внимание было уделено словарной работе

В IX классе педагог работал над повестью Н. В. Гоголя „Шинель". Материал опроса—„Характеристика „Башмачкина". Материал для объяснения—„Новая шинель Акакия Акакиевича".

Урок начинается с фронтального опроса. Класс активен. Ответы учащихся удовлетворительны.

Объяснение было исчерпывающим.

Закрепление проводилось путем контрольного опроса.

Недостатки урока:

1. Недостаточное внимание было уделено словарной работе (Следовало записать опорные, „ключевые" слова).

2. Почти не использовалась доска.

3. Для закрепления следовало дать план изучаемого отрывка.

Можно было провести рассказывание по плану с применением „ключевых" слов.

Нормы письменных контрольных работ учительница выполнила.

Виды работ она соблюдает. Качество исправления работ удовлетворительно. Учащиеся проводят исправление ошибок не систематически.

Учительница Енисенко С. имеет **все данные для того, чтобы работать без недостатков.**

В Агарской вечерней школе русский язык и литературу на грузинском секторе преподает Шубитидзе Э. М., а в единственном русском (IX) классе—Котенева Н. П.

Проверка журнала и тетрадей показала, что в начале года Н. Котенева работала по программе массовой школы (В текущем учебном году школа не получала новой программы по родной литературе для вечерних русских школ). Естественно, что некоторые темы она прошла подробнее, чем это делается в вечерней школе.

В настоящее время она работает по программе вечерней школы.

Нормы письменных работ у нее выполнены, виды работ соблюдены. Работы исправляются тщательно. Исправление своих ошибок учащиеся проводят не систематически.

В день проверки у Котеневой не было урока по расписанию.

У преподавательницы Э. Шубитидзе в X классе на уроке русского языка была тема опроса—„Причастие".

Новый материал—„Деепричастие".

Урок начинается с фронтального опроса. Учащиеся устно определяют причастия (т. е. дают грамматическое определение).

К доске вызываются ученики Асан оглы, а затем Мария Шубитидзе, которые разбирают предложения, написанные на доске, находят в них причастия и дают грамматические определения.

В процессе опроса учительница следит, чтобы весь класс принимал участие в работе.

Учительница выставляет в журнал оценки, а затем приступает к объяснению нового материала.

В ходе объяснения она идет от общего к частному, т. е. начинает с объяснения правила и лишь потом подкрепляет это правило примерами.

С целью закрепления проводится разбор предложения.

Недостатки урока:

1. Во время опроса внимание фиксировалось только на значении причастия. Ни слова не было сказано о том, что причастия бывают действительные и страдательные, а страдательные причастия—полные и краткие. Не говорилось о переходе причастий в прилагательные. Не было уделено внимание правописанию причастий.

В силу того, что данный урок был заключительным уроком по теме „Причастие", учительнице следовало хотя бы самой сделать какое-то обобщение.

2. Как во время опроса, так и во время объяснения учительница основной упор делает на грамматические правила и определения, тогда как большее внимание должно уделяться тому, чтобы учашиеся умели применять грамматические правила в письменной и устной речи.

3. При объяснении следовало начать с анализа конкретных примеров, причем анализ должен был быть произведен с помощью учащихся. Грамматическое правило с помощью учительницы также должно было быть сформулировано учащимися.

4. Во время объяснения учительнице следовало заострить внимание учащихся на том, что глагол в предложении показывает главное действие, а деепричастие—добавочное. Следовало обратить внимание и на то, когда происходит это добавочное действие: одновременно, до или после главного.

5. У учительницы „хромает" произношение. Так, она вместо „волк" и „угол" произносит „вольк" и „уголь". Не всегда правильно она ставит в словах ударение (Вместо „Разрывая носом вóды, ходят в море пароходы" она произносит—„Разрывая носом воды, ходят в море параходы").

Как явствует из классных журналов, нормы письменных работ учительницей выполнены, оценки учащихся внесены в журнал.

* *
*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარელის საღამოს საშუალო სკოლაში შემოწმების დღეს მათემატიკის ორი მასწავლებლიდან (ნ. კასრაძე და მ. ქელეხსაევი) არც ერთი არ გამოცხადებულა, რის გამოც გაკვეთილები არ ჩატარებულა. საკონტროლო წერის რვეულების შემოწმებით დადასტურდა, რომ მოსწავლეები ძალიან დაბალ მომზადებას ავლენენ ამ საგანში. მე-9 კლასს (მოსწ. ნ. კასრაძე) 1970 წლის 23 დეკემბერს უწერია კვადრატული განტოლების გამოკვლევაზე. ნამუშევრებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებმა ძალიან მკრთალად იციან ეს თემა: ისინი, ნაცვლად განტოლების გამოკვლევისა, მხოლოდ ხსნიან მას, მასწავლებელი კი არავითარ შენიშვნას არ აკეთებს; მეორე ხარისხის უტოლობის ამოხსნისას არაფერს ლაპარაკობენ კვადრატული სამწევრის დისკრიმინანტზე და პირდაპირ ხსნიან როგორც კვადრატულ განტოლებას.

მე-10 კლასში 15 თებერვალს ჩატარებული საკონტროლო წერა გასწორებული არ იყო 16 მარტს.

აგარის საღამოს სკოლაში მათემატიკას ასწავლის ნ. მაისურაძე. მას გეომეტრიის გაკვეთილზე მე-10 კლასში თემად ჰქონდა ცილინდრული ზედაპირი. მოსწავლეებმა სუსტად იცოდნენ ეს მასალა. გაუჭირდათ ცილინდრის გვერდითი ზედაპირის ფორმულის დაწერა. ჩანს, მასწავლებელი ცოტას მუშაობს კლასთან ამოცანების ამოხსნაზე, რადგან მათ არ შეუძლიათ მარტივი ამოცანების დამოუკიდებლად ამოხსნაც კი.

მასწავლებელმა ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილზე მე-9 კლასში მოსწავლეები ავარჯიშა რაციონალურ მაჩვენებლიან ხარისხებზე. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ახერხებდნენ მაგალითების ამოხსნას, მაგრამ ძირითადი საკითხები მაინც უჭირთ; ასე მაგალითად, არ იციან ტოლფუძიანი ხარისხების გამრავლება და გაყოფა.

* *
*

აგარის საღამოს სკოლაში ისტორიას ასწავლის მ. ბერუაშვილი (იგივე დირექტორი).

IX კლასში – წინა მასალა „რუსეთის გადასვლა იმპერიალიზმის სტადიაში“ მასწავლებელმა გამოიკითხა საუბრის მეთოდით. გამოკითხვის პროცესში მუშაობაში ჩააბა ყველა მოსწავლე, ეკითხებოდა განვლილი მასალიდან. მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად უპასუხეს საკითხებს 90-იანი წლების სამრეწველო აღმავლობის, 900-იანი წლების ეკონომიური კრიზისისა და იმპერიალიზმში რუსეთის გადასვლის შესახებ. განმარტეს იმპერიალიზმი და ჩამოაყალიბეს მისი ძირითადი ნიშნები. ილაპარაკეს იმპერიალიზმის ეპოქაში მუშათა და გლეხთა კლასის მდგომარეობაზე. კითხვებზე განვლილი მასალიდან მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად უპასუხეს. მათ გაკვეთილისა და შესწავლილი პროგრამული მასალების დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს.

ახალი მასალის—„მუშათა მოძრაობა 1900—1903 წლებში“—ახსნა მაწავლებელმა დაუკავშირა ძველ მასალას. მასწავლებელი საუბრობდა ნელა, მოსწავლეებისათვის გასაგებად. საჭიროების შემთხვევაში კარგად იყენებდა რუკას. ძირითად თარიღებს და ძნელად გასაგებ ტერმინებს სათანადო ახსნა-განმარტების შემდეგ წერდა დაფაზე. ისტორიულ ფაქტებს თანმიმდევრობით, მიზეზ-შედეგობრივ კავშირში ხსნიდა.

კარგად იყო ახსნილი საკითხები—დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრის გადანაცვლება რუსეთში; 1900 წლის საპირველმაისო დემონსტრაცია ხარკოვში, 1901 წელს ობუხოველთა გამოსვლა და 1902 წელს მუშათა საპირველმაისო დემონსტრაცია სორმოვოში; საინტერესოდ მოუთხრო იმ ახალგაზრდა მუშის ცხოვრებაზე, რომელიც შემდეგში გახდა მ. გორკის რომანის „დედის“ ერთ-რთი მთავრი გმირი—პავლე ვლასოვი.

კარგად ილაპარაკა ვ. ი. ლენინის უდიდეს ისტორიულ დამსახურებაზე. მოხდენილად დაუკავშირა ახალ მასალას ხაშურის მუშათა, მოხისისა და ატოცის გლეხთა გამოსვლები. მასწავლებელმა ამ მასალის თხრობას 23 წუთი მოანდომა. მისი ათვისების შემოწმებით გამოირკვა, რომ კლასმა მასალა კარგად გაიგო. გასაგებად იყო მიცემული საშინაო დავალება. გაკვეთილის მიზანი მიღწეულ იქნა.

ქარელის საღამოს (ცვლის) სკოლაში ისტორიას ასწავლის თ. ზედგინიძე. IX კლასში მასწავლებელს ჰქონდა მსოფლიო პოლიტიკური რუკა. მას არ აღმოაჩნდა გაკვეთილის გეგმა. დაგვიანებით მოსულ მოსწავლეებს შენიშვნას არ აძლევდა.

გამოსაკითხი მასალის „რუსეთ-იაპონიის ომის დასაწყისი“—თხრობაზე მოსწავლეებმა ზახუსაშვილმა, ზანდოძემ, ბედოშვილმა, ოქროპირიძემ უარი განაცხადეს. მოსწავლე საზანდარიშვილი შეეცადა მასალის თხრობას, მაგრამ უშვებდა შინაარსობრივ შეცდომებს; ასე მაგალითად,—იაპონია-ჩინეთის 1890—1894 წლების ომში იაპონია დამარცხდა; 1904 წელს იაპონიამ ომი გამოუცხადა რუსეთს; წყნარი ოკეანის სარდლად დაინიშნა ადმირალი ვიცე და სხვ. მასწავლებელი მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს არ ასწორებდა.

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების დროს გამოირკვა, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა გაკვეთილი. გამოკითხულ მოსწავლეებს შეფასების ნიშანი არ დაუწერა.

ახალი მასალის—„რუსეთ-იაპონიის ომის დასასრულის“—ახსნა მასწავლებელმა დაიწყო ძველ მასალასთან კავშირის გარეშე. მასალა ბუნდოვნად, მოსწავლეებისათვის გაუგებრად მოუთხრო. არ გაითვალისწინა ისტორიული ფაქტები მიზეზ-შედეგობრივ კავშირში, დაუშვა შინაარსობრივი შეცდომები, არ ახსნა ძნელად გასაგები ტერმინები და დაფაზე არ დაწერა ძირითადი თარიღები. გაუგებრად აჩვენებდა რუკაზეც. გვერდი აუარა პროგრამით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების ახსნას; ასე მაგალითად, თხრობის დროს არ შეხებია ვ. ი. ლენინის წერილს—„პორტ-არტურის დაცემა“, ბოლშევიკების დამოკიდებულებას რუსეთ-იაპონიის ომისადმი, „დიდი არმადის“ განადგურებას და რუსეთ-იაპონიის ომის გავლენას რევოლუციური მოძრაობის აღმავლობაზე რუსეთში.

მასწავლებელმა ანალიზი არ გაუკეთა საერთაშორისო ბურჟუაზიისა და განსაკუთრებით აშშ-ის დამოკიდებულებას რუსეთ-იაპონიის ომისადმი. არ განმარტა, თუ რატომ იყო დაინტერესებული აშშ რუსეთ-იაპონიას შორის ზავის შეკვრით.

საჭირო იყო ზავის დადების თარიღი 1905 წლის 23 აგვისტო (5 სექტემბერი) დაეწერა დაფაზე და ქ. პორტსმუტი ეჩვენებინა რუკაზე.

პორტსმუტის ზავის პირობები „ახსნა“ მხოლოდ ერთი წინადადებით: „პორტსმუტის ზავით იაპონიამ მიიღო კორეა და ეს ადგილებიო“ (რაღაც გაუგებრად მოხაზა რუკაზე). პორტსმუტის ზავის პირობები გაუგებარი დარჩა მოსწავლეებისათვის.

გაკვეთილზე არაფერი თქმულა იმის შესახებ, რომ პორტ-სმუტის ზავის დადებამ ხელ-ფეხი გაუხსნა ცარიზმს რუსეთის რევოლუციის ჩასახშობად.

მასწავლებელს განსაკუთრებით უნდა გაემახვილებინა ყურადღება რუსი მეომრების, მატროსების გმირულ ბრძოლებსა და მეფის სარდლობის უსუსურობის, უნიჭობისა და ჯარების მართვაში სრულ არევ-დარევაზე, რომელიც ერთ-ერთი მიზეზი გახდა რუსეთის არმიის დამარცხებისა.

მასწავლებელი თხრობის დროს უშვებდა შეცდომებს; ასე მაგალითად, „რუსეთმა პორტ-არტურთან მეტი ჯარისკაცი დაკარგა, ვიდრე იაპონიამ (იაპონიამ დაკარგა 110.000 და რუსეთმა 35.000 ჯარისკაცი), პორტ-არტური დაეცა იმიტომ, რომ აღარ შესწევდა თავდაცვის ძალაო". სინამდვილეში პორტ-არტურს კიდევ ჰქონდა შემდგომი თავდაცვის შესაძლებლობა, რომ მოღალატე კომენდანტს სტესელს მოღალატურად არ მოეწერა ხელი პორტ-არტურის ჩაბარებაზე; რუსეთ-იაპონიის ომმა გამოიწვია რუსეთში პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელსაც მოყვა 1917 წლის მეორე ბურჟუაზიული რევოლუციაო, როგორც ჩანს, მასწავლებელი ბურჟუაზიულ და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებს ვერ არჩევს ერთმანეთისაგან. მან ახალი მასალის თხრობას მხოლოდ 8 წუთი მოანდომა.

ახალი მასალის ათვისების შემოწმებისას დასმულ კითხვებზე ვერცერთმა მოსწავლემ ვერ გასცა პასუხი. ვერ უპასუხეს განვლილი პროგრამული მასალიდან: ვინ იყვნენ ნაროდნიკები და რა შეცდომები ჰქონდათ მათ, როდის გამოვიდა გაზეთი „ისკრა", როდის შეიქმნა მუშათა პირველი ორგანიზაციები რუსეთში. მოსწავლეებმა ვერაფერი თქვეს აგრეთვე მარქსიზმის გავრცელებაზე რუსეთში, წარმოდგენა არა აქვთ ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დაწყებაზე რუსეთში; არ იციან, როდის იქნა მოწვეული რსდმპ-ის II ყრილობა და რა საკითხები იყო განხილული მასზე.

თვით მასწავლებელმა შეცდომით განმარტა ლენინის ფორმულირება პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის—პარტიის წევრობის შესახებ და შემდეგ გააკეთა დასკვნა, რომ რსდმპ-ის II ყრილობაზე წესდების პირველი პარაგრაფის მიღების დროს ლენინმა და მისმა მომხრეებმა გაიმარჯვეს და მათ ეწოდათ ბოლშევიკები, მარტოველებს—მენშევიკებიო.

კლასში მყოფმა ყველა მოსწავლემ განვლილი პროგრამული მასალის სრული უცოდინარობა გამოავლინა.

იგივე მასწავლებელს XI კლასში გაკვეთილის გეგმა არ აღმოაჩნდა. გამოსაკითხი მასალა—„იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა“ არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა.

ახალი მასალის „ლათინური ამერიკის ქვეყნების“ ახსნისას მასწავლებელი არ შეხებია პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებს, ლათინური ქვეყნების ეკონომიურ ჩამორჩენილობას, აშშ-ის ჩარევას ლათინური ამერიკის სახელმწიფოების საშინაო საქმეებში, ამ ქვეყნებში დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას, კუბის რევოლუციის გავლენას ლათინურ ამერიკაზე და სხვა. მასწავლებელმა თხრობას 9 წუთი მოანდომა. მასალის გადაცემისას მასწავლებელი თანმიმდევრულად არ ხსნიდა ისტორიულ მოვლენებს, არ იყენებდა თვალსაჩინოებას და უშვებდა შინაარსობრივ შეცდომებს.

მოსწავლეებმა ვერ უპასუხეს განვლილი პროგრამული მასალიდან: როდის დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ძირეული გარდატეხა მეორე მსოფლიო ომში, რომელი სახელმწიფოები შედიან სოციალისტურ სისტემაში, ვერაფერი თქვეს პოტსდამის კონფერენციაზე, გერმანიის ორად გათიშვაზე და სხვ.

მოსწავლეებმა განვლილი პროგრამული მასალის სრული უცოდინარობა გამოავლინეს.

თ. ზედგენიძე საგნის სუსტი მცოდნე და მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს ნაკლებად დაუფლებული მასწავლებელია, რომელიც არასაკმაო პასუხისმგებლობით ეკიდება საგნის სწავლებას.

რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიურ კაბინეტს (გამგე ც. ჩილოჩავა) სათანადო პირობები აქვს შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის.

შედგენილი და დამტკიცებულია პედკაბინეტის სამუშაო გეგმა, მაგრამ მისი შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი არ ხორციელდება. განათლების განყოფილება მას არ თხოვს ჩატარებული მუშაობის ანგარიშს. წლიურ სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული 32 საკითხიდან არც ერთი არ ეხება საღამოს (ცვლის)

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობათი მუშაობის საკითხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედკაბინეტის მიერ საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი მეთოდური დახმარება ამოიწურება იმით, რომ არსებობს საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა სასკოლათაშორისო გაერთიანება, სადაც ჩატარებულა ორი სხდომა და განხილულა განათლების სამინისტროს მიერ გაგზავნილი მეთოდური მითითებები, მაგრამ პრაქტიკაში მათი განხორციელებისათვის პედკაბინეტს ზომები არ მიუღია.

კაბინეტის თანამშრომლები ნაკლებად არიან გარკვეული საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის თავისებურებაში. ვერ ერკვევიან ჩათვლითი სისტემით მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში. წარმოდგენა არა აქვთ ახალ პროგრამებზე საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გადასვლაზე 1970/1971 სასწავლო წელს, არ იციან, მაგალითად, რომელი კლასი რომელ საგანში მუშაობს ახალი პროგრამით. ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული საკითხის გარშემო მიღებული მეთოდური მითითებები მეთოდკაბინეტის კარადაში შენახული აღმოჩნდა.

არავითარი მითითება არ მიუციათ სკოლებისათვის ჩათვლებისა და კონსულტაციების ცხრილის შედგენის შესახებ.

კაბინეტში არ იცნობენ მეთოდური ხასიათის იმ მასალებს, რომლებიც დაბეჭდილი იყო პერიოდულ პრესაში და ეხებოდა საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში გატარებულ ცვლილებებს.

პედაგოგიურ კაბინეტში არ აღმოჩნდა საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებისა და მეთოდური დახმარების ამსახველი რაიმე მასალა.

მოუგვარებელია პროგრამების, მეთოდური მათითებების, წერილებისა და ჩათვლის წიგნაკების მიღების აღრიცხვა. აღრიცხული ჰქონდათ მხოლოდ ისტორიის, ბიოლოგიისა და ხაზვის პროგრამების მიღება, ეს იმ დროს, როდესაც ყველა დასახელების პროგრამა და მეთოდური მითითებანი მიღებული აქვთ. არ აღირიცხება

საღამოს სკოლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო მასალები; მეთოდკაბინეტმა მიიღო მეთოდური წერილი საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების IX—XI კლასებში ქართული ენის სწავლების ზოგი საკითხისა და სასწავლო მასალის სავარაუდო განაწილების შესახებ 5 ცალი, რომელიც მთლიანად ქარელის მუშა ახალგაზრდობის სკოლას გაუგზავნა. მაგრამ მისი არსებობის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდათ დაბა ავარის საღამოს სკოლაში.

პედკაბინეტი არაპროპორციულად ანაწილებს სახელმძღვანელოებს; მაგალითად, ავარის საშუალო სკოლის X კლასის 28 მოსწავლეზე ყველა დასახელების სახელმძღვანელო განაწილებულია 20—20 ცალი, ხოლო ქარელის მუშა-ახალგაზრდობის X კლასის 20 მოსწავლეზე 4—4 ცალი, ასევე, დვანის საშუალო სკოლის IX კლასის 80 მოსწავლეზე განაწილებულია სახელმძღვანელო 20—20 ცალი, ქარელის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის IX კლასის 27 მოსწავლეზე 5—5 ცალი და ა. შ.

ქარელის რაიონის განათლების განყოფილება (ამხ ნ. გოგიჩაშვილი) არასაკმაო ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობას.

* *
*

ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ განათლების სამინისტროს ბრიგადას საჭიროდ მიაჩნია შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

1. ქარელის რაიონის საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები თავიანთი პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ასამაღლებლად, რითაც მიაღწიონ საკუთარი კვალიფიკაციის სრულყოფას და ამ გზით სასწავლო საგნების სწავლების შემდგომ გაუმჯობესებას.

2. ქარელის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლების დირექტორებმა:

ა) გაატარონ ღონისძიებანი სასკოლო საქმიანობის უფრო გულმოდგინედ, შემოქმედებითად დასაგეგმავად. ამ მიზნით მოაწყონ სკოლის წლიური და პედსაბჭოს ნახევარწლიური სამუშაო გეგმების გულდასმით განხილვა, მიაღწიონ იმას, რომ სასკოლო მუშაობის ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები წარმოად-

გენდნენ სკოლის მთელი კოლექტივის შემოქმედებითი აზრის ნაყოფს;

ბ) ერთხელ კიდევ აღრიცხონ თავიანთ მიკრორაიონში ოვალწლიანი და საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდები, ჩაატარონ მათთან სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა და უზრუნველყონ შესაფერის კლასებში მათი მიღება;

გ) გულდასმით შეარჩიონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განსახილველი საკითხები, კარგად მოამზადონ ისინი და უზრუნველყონ დასახულ ღონისძიებათა შესრულება;

დ) გადამჭრელი ზომები მიიღონ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ისტორია-გეოგრაფიის სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინო მასალებით სკოლების უზრუნველსაყოფად;

ე) მეტი ყურადღება მიაქციონ წარმოება-დაწესებულებების, მათი პარტიული, პროფკავშირულ-კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან მტკიცე, საქმიანი კავშირის დამყარებას, აამაღლონ კლასის ხელმძღვანელთა როლი ამ საქმეში;

ვ) მკვეთრად გააუმჯობესონ შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, გახადონ იგი უფრო ქმედითი, კონკრეტული, მიზანსწრაფული;

გ) უახლოეს ხანში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებაში.

3. ქარელის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ნ. გოგიჩაშვილმა):

ა) მიიღოს ზომები საღამოს (ცვლის) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით პირადად დაინტერესდეს მათი საქმიანობით, გამოავლინოს მათი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და უზრუნველყოს პირველის ფართოდ განზოგადება და მეორის აღმოფხვრა;

ბ) ქარელის საღამოს (ცვლის) სკოლასთან დაუყოვნებლივ შექმნას მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისია და უზრუნველყოს მისი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება;

გ) გარდაქმნას რაიონის პედკაბინეტის (გამგე ც. ჩილოჩავა) მუშაობა საღამოს სკოლებისადმი დახმარების საქმეში, რისთვისაც მტკიცე მეთვალყურეობა განახორციელოს მისი საქმიანობისადმი პერიოდულად მოითხოვს ანგარიში პედკაბინეტისაგან ამ ტიპის სკოლების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ;

დ) პირადად დაინტერესდეს სოფლის სკოლებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობის საკითხებით; გაატაროს ღონისძიებანი ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებული ამოცანების შესასრულებლად, შექმნას სასკოლათაშორისო საგნობრივი მეთოდგაერთიანებანი უშუალოდ აგარის სოფლის (ცვლის) სკოლასთან, მტკიცედ დანერგოს ორივე სკოლის მასწავლებელთათვის ღია გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ურთიერთ გაზიარების სხვა ფორმები;

ე) ხელი შეუწყოს ამ ტიპის სკოლებს წარმოება-დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან საქმიანი კავშირის განმტკიცებაში; მიაღწიოს მათ უფრო მეტ დაინტერესებას წარმოებაში მომუშავე რვაწლიანი და საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმით;

ვ) ორგანიზაციული ღონისძიებანი გაატაროს სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნული არადამაკმაყოფილებლად მომუშავე მუშაკების მიმართ;

ზ) სპეციალურად შეისწავლოს ქარელის საღამოს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლების მ. ქელეხსაევისა და მ. კასრაძის მუშაობა და იმ შემთხვევაში, თუ ისინი წინანდებურად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, მიიღოს მათ მიმართ ორგანიზაციული ზომები.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ბრძანება და ეს მოხსენებითი ბარათი საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად გადაეგზავნოს ქარელის რაიონის განათლების განყოფილებას.

5. განათლების განყოფილებამ ჩატარებული მუშაობის ანგარიში წარმოადგინოს ა/წლის 25 ივნისისათვის.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ბრიგადა საჭიროდ თვლის, რომ საკითხი ქარელის რაიონის სოფლის (ცვლის) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის

მდგომარეობის შესახებ განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრიგადა: ს. დვალი
გ. შაფაქიძე
გრ. ერაძე
ლ. ხორავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. დადგენილება—სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 3
2. ბრძანება № 137—საშუალო სკოლის, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლის, სკოლა-ინტერნატის ბეჭდის, შტამპისა და აბრის ახალი ნიმუშების დამტკიცების შესახებ 6
3. Приказ № 137—Об утверждении новых образцов печати углового штампа и вывески средней школы, вечерней и заочной школы, школы-интерната, детского дома и специальной школы-интерната 12
4. ცირკულარული წერილი № 14/66 18
5. დადგენილება—რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ფაკულტატიური მეცადინეობის შემოწმების შედეგების შესახებ 24
6. მეთოდური წერილი—ფაკულტატიური მეცადინეობის ადგილი სასწავლო გეგმაში 29
7. ამონაწერი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 26 მარტის სხდომის ოქმიდან № 5 38
8. ბრძანება № 210—თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებისა და ამავე რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 39
9. Приказ № 212—Об утверждении отчета по республиканскому бюджету на 1970 год . . . . . .
10. Приказ № 213—Об утверждении отчета по хозорганам за 1970 год . . . . . .
11. ბრძანება № 229—ქარელის რაიონის საღამოს (ცვლის) სკოლებში საწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ 47
12. მოხსენებითი ბარათი—ქარელის რაიონის საღამოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგები შესახებ . . . 49

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 14 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VIII-71 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,4

შეკვ. № 1079. უე—06120 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 12, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 12 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров ГССР ул. Уш. Чхеидзе № 19